ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 18 მაისი, 2020 №108 (8372) ფასი: 60 თეთრი

ადვოკატები 18 მაისს გიორგი რურუას გათავისუფლებას მოითხოვენ

გვ.5

ირაკლი ოქრუაშვილი: „ივანიშვილს საუკეთესოს ვუსურვებ – ოპოზიციაში მშვიდობიან გადასვლას“

„ოქტომბრის არჩევნებმა უნდა მოიტანოს ახალი, გარდამავალი კოალიციური მთავრობის შექმნა“

გვ.2

გვ.3

„ოცნება“ კოალიციურ მთავრობაში მოხვდება, დიდ სისულელეს თუ არ ჩაიდენს“

თორნიკე შარაშენიძე: „ამერიკამ რომ არ გითხრას, დემოკრატია კარგია, ამას შენ თვითონ ვერ უნდა მიხვდე?!“

გვ.4

დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილს დასარჩენი არც დასავლეთში აქვს და არც რუსეთში“

„ხელისუფლებას მოუწევს სხვადასხვა ფლანგის ოპოზიციასთან მძიმე ჭიდილი“

გვ.3

გიგლა ბარამიძე: „დანიშნული პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ დანამატია“

გედევან ფოფხაძე: „ქართული ოცნება“ სპექტაკლების დადგმაში თეატრებს ნუ შეეცილება“

გვ.4

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს იუესეიდის მხარდაჭერით საველე კარვები გადაეცა

გვ.5

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ეტაპობრივად იწყებს სერვისების განახლებას

ISSN 1987-9385

5 ოთარ ფარცხალაძის ძმა, თორნიკე ფარცხალაძე დააკავეს

2 საჩხერეში 11 წლის მოზარდთან გარყვნილი ქმედებისთვის 30 წლის ბესიკ ივანაშვილი დააკავეს

5 უკრაინამ საქართველოს ცეზარ ტოხოსაშვილი, იგივე ალ-ბარა შიშანი, გადასცა

3 კალიფორნიაში აღმოაჩინეს ანტისხეულები, რომლებიც კოვიდ 19-ს 4 დღეში განდევნის

ირაკლი ოქრუაშვილი: „ივანიშვილს საუკეთესოს ვუსურვებ — ოპოზიციაში მშვიდობიან გადასვლას“

იაგო ნაცვლიშვილი

15 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ირაკლი ოქრუაშვილი და გიგი უგულავა შეიწყალა. ეს მოხდა საერთაშორისო ზეწოლის და დასავლეთში გაკეთებული უმწვავესი განცხადებების შედეგად, სადაც ზოგიერთმა სენატორმა და ევროპარლამენტარმა „ქართულ ოცნებას“ პირდაპირ უთხრეს, რომ მას ჰყავს პოლიტპატიმრები.

ციხიდან გათავისუფლებული თავდაცვის ყოფილი მინისტრი და „გამარჯვებული საქართველოს“ ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს.

– გქონდათ თუ არა მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ პირველი გაჯიუტების შემდეგ ასე მარტივად დათმობდა პოზიციებს. 2 დღეში მას მოუხდა გადაწყვეტილების შეცვლა, როგორ ფიქრობთ, რატომ?

– მე არ ვთვლი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ რამე დათმო. მოხდა შეთანხმება და „ქართულმა ოცნებამ“ აიღო ვალდებულება და ამ ვალდებულების მიხედვით მას ჩვენი გამოშვება უკვე ნაკისრი ჰქონდა. შესაბამისად, მას ეს ვალდებულება უნდა შეესრულებინა. ასე რომ, ეს პროცესი ამ შედეგით დასრულდებოდა. ეს არ იქნებოდა 15-ში, იქნებოდა 25-ში. მაგრამ, თუ ვინმე ფიქრობდა, რომ ამ ვალდებულებას არ შეასრულებდა „ქართული ოცნება“, ეს არ გამოვიდოდა. ეს არ მოხდებოდა იმის გამო, რომ ამ ვალდებულების შესრულებაში არბიტრებად ჩართულები არიან უდიდესი მოთამაშეები – ჩვენი პარტნიორები როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში. შესაბამისად, განცხადებები, რომ ეს ვალდებულება არ ამიღია, ეს პირობა არ დამიდია და ა. შ. იყო მასკარადი და „ქართული ოცნება“ ამ ვალდებულებების შესრულებისგან თავს ვერ დაიძვრნდა.

– მაშინ რას ემსახურებოდა მათი ეს განცხადებები, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ თქვენ?

– ძალიან ბევრი ვერსია მოვისმინე იმაზე, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამ ყველაფრის მიზეზი. იყო ვერსია, რომ ამ კორონავირუსის შედეგად ხალხმა ჩათვალა, რომ გაცილებით უფრო ეფექტურები არიან, იყო ვერსია, რომ ივანიშვილს აღარ უნდა ამ შეთანხმების შესრულება და რომ ჩაგდება უნდა საკონსტიტუციო ცვლილებების, რასაც ასევე არ ვეთანხმები. არც პირველ და არც მეორე ვერსიას არ ვეთანხმებოდი. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თუ გაეზარდათ რეიტინგი, მით უმეტეს, არ სჭირდებოდათ საერთაშორისო პარტნიორებთან სიტყვის გატეხვა და სახელის შერცხვენა, რადგან რეიტინგის გაზრდის დროს შანსები გეზრდება და რატომ უნდა გააკეთო ეს და დაარღვიო შეთანხმება?!

მეორე, იმის გამო, რომ არ შეასრულო შეთანხმება და ჩააგდო საკონსტიტუციო ცვლილებები, დამოკლეს მახვილივით ივანიშვილისთვის დაეკიდება ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სრულად პროპორციული სისტემით ჩატარების მხრივ. გახსოვთ, რომ შემდეგი არჩევნები უნდა ჩატარდეს სრულად პროპორციულით, მათ შორის, ვადამდელი. ეს არ არის სასურველი „ქართული ოცნებისთვის“.

ანუ, პირველი და მეორე ვერსია არარეალური იყო. მე მაინც მგონია, რომ სულ სხვა მიზეზი იყო აქ. არა მგონია, რომ ივანიშვილი იმდენად გულუბრყვილო ადამიანი იყოს, რომ ვერ ხვდებოდეს, რამხელა ფინანსური პრობლემის წინაშე დადგებოდა, ეს შეთანხმება რომ დაერღვია.

შეთანხმების დარღვევა იმას კი არ ნიშნავს, რომ ავტომატურად ფასი უნდა გადაიხადო ოპოზიციასთან, რომელთანაც მოხდა შეთანხმების დადება, არამედ ფასი უნდა გადაიხადო საზოგადოებასთან, ოპოზიცია გარკვეულ საზოგადოებას წარმოადგენს. ასევე ფასის გადახდა მოუწევთ იმ აქტორებთან, ვინც იყვნენ ამ შეთანხმების ფასილიტატორები და რომლებიც ესწრებოდნენ ამ ყველაფერს.

– როდესაც ფასის გადახდაზე საუბრობთ, კონგრესში ინიცირებული კანონპროექტი გაქვთ მხედველობაში?

– არა მხოლოდ. ეს შეეხება მხოლოდ ბიზნესის თავისუფლების საკითხებს, რომელიც „ფრონტერასთან“ დაკავშირებით არის. მაგრამ თავისუფლების შეზღუდვის, დემოკრატიის შეზღუდვის პრობლემებიდან გამომდინარე შეიძლება ცალკე აქტი შეიქმნას. აქედან გამომდინარე ივანიშვილს კარგად უნდა ესმოდეს და ესმოდა, თუ რა პრობლემები შეიძლება მოჰყოლოდა ამ შეთანხმების დარღვევას.

მე მაინც მგონია, რომ აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. მას ვიღაც აიძულებდა, რომ მაგიდა აეყირავებინა. ამ შემთხვევაში ის მაგიდას არ ააყირავებდა არც ბოკერიასთან, არც ბურჯანაძესთან ან ზოგადად ოპოზიციასთან, ის მაგიდას ააყირავებდა ზოგადად დასავლეთთან. დასავლეთთან მაგიდის აყირავება მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეეძლო მას.

– პუტინის როლზე საუბრობთ?

– კი. ამ შემთხვევაში ვიღაც ისეთი აიძულებდა, რომ მას ეს ყველაფერი უღირდა. თუ რამე ვერსიას აქვს არსებობის უფლება, ეს ვერსიაა ყველაზე რეალური. ყოველ შემთხვევაში, მე ეს ვერსია გამიჩნდა.

„ოქტომბრის არჩევნებმა უნდა მოიტანოს ახალი, გარდამავალი კოალიციური მთავრობის შექმნა“

მაგრამ, მოდით მთავარ რამეზე შევთანხმდეთ. მთავარი არის შედეგი. აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა მოხდა აქამდე, მთავარია, რომ შედეგი დადგა და კიდევ უნდა დადგეს. უნდა გათავისუფლდეს გიორგი რურუა და საკონსტიტუციო ცვლილებები უნდა მივიღოთ. ეს ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამშვიდდეს. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამ კრიზისიდან, რომელიც შეიქმნა „ქართული ოცნების“ გაჯიუტების შედეგად.

კორონავირუსის პანდემიის გამო უდიდესი ეკონომიკური პრობლემები ელის ჩვენს ქვეყანას უახლოეს თვეებში და შეიძლება წლის განმავლობაშიც. ჩვენს ეკონომიკას ელის რეცესია და მინუსში გადავდივართ 5.5 თუ 6%-ით, ამას კიდევ ზემოდან თუ დაემატა ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც შესაძლოა „ქართული ოცნების“ პირობებში კიდევ შეიქმნას, მაშინ ეს ყველაფერი ნიშნავს ჩვენი მოქალაქეების გაღარიბებას. თუ ვინმე გონიერი ადამიანია, შეუძლებელია, ვერ ხვდებოდეს, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ყველაფერი.

– როდესაც ციხე დატოვეთ, თქვენგან ბევრი ადამიანი ელოდა უფრო რადიკალურ განცხადებებს, მაგრამ თქვენ სულ სხვა რიტორიკა აირჩიეთ. ისაუბრეთ, რომ ქვეყანა უნდა დამშვიდდეს და არ აპირებთ რევანშისტულ და ნიშნის მოგებით საუბარს. ქვეყნის იმ გამოწვევებიდან გამომდინარე აირჩიეთ ეს გზა, რაზეც ახლა საუბრობთ?

– რა თქმა უნდა. მოთხოვნილებაა, რომ ჩვენ დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ იმ განსაკუთრებულ პროცესებს, რომლებიც განვითარდება ქვეყანაში. ჩვენ არ გვაქვს ერთმანეთთან კინკლაობის და პირადი წყენების უფლება.

ამ შემთხვევაში მე უსამართლოდ მომექცნენ და უნდა მქონდეს წყენა, მაგრამ საქმე ეხება ქვეყანას. შესაბამისად, ყველამ უნდა გავითავისოთ ერთი მთავარი რამე – ჩვენ ვართ ერთი პატარა პროვინცია დედამიწის ზურგზე, სადაც ერთმანეთს ვეკინკლავებით და ჩვენს კინკლაობას აკვირდება კაცობრიობის ყველაზე პროგრესული ნაწილი ევროპის და ამერიკის კონტინენტზე. ამდენი ევროპარლამენტარი, ამდენი კონგრესმენი, ამდენი სენატორი... ეს ადამიანები ყოველდღე რესურსს კარგავენ ჩვენს დაშოშმინებასა და ჩვენს შერიგებაში, მაშინ როდესაც, მათ ძალისხმევას უნდა მივმართავდეთ შესაძლო ოკუპაციისა და ბორდერიზაციის შესაჩერებლად, ჩვენი ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

იმის მაგივრად, რომ მათი ძალისხმევა მიმართული იყოს ჩვენი ახალგაზრდების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის და ა. შ. ჩვენ გვიწევს მათი ძალისხმევის მიმართვა ბავშვური შიდა თამაშებისთვის. ამიტომ, მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს. ეს იყო ჩემი ემოციური გზავნილი, რომ რაც იყო, იყო. მთავარია, რომ კიდევ რაღაც არ გავაფუჭოთ.

– თქვენი ეს გზავნილი ოპოზიციის მისამართითაც ხომ არ იყო? მხედველობაში მყავს ის ოპოზიციონერები, რომლებიც დღეს კი დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და ახლაც სხედან, მაგრამ ერთმანეთის კატეგორიული მიუღებლობა აქვთ და ამას ღიად გამოხატავდნენ. ეს გზავნილი ხომ არ იყო, რომ ახლა ამის დრო არ არის?

– ჩვენმა ისტორიამ დაგვანახა ერთი მარტივი ჭეშმარიტება – ძალა არის ერთობაში. ერთობამ მოიტანა საკონსტიტუციო ცვლილებების შეთანხმება, ერთობამ მოიტანა ჩვენი გათავისუფლება, ერთობა მოიტანს ჩვენ გამარჯვებას და არჩევნების გზით ივანიშვილის ხელისუფლებიდან გაშვებას.

ვინც ამ ერთობას დაარღვევს თავისი პირადი ამბიციების გამო, თავისი ემოციების თუ გაუაზრებელი ადამიანური ინსტინქტების გამო, ის ხელს შეუშლის ჩვენი ქვეყნის ნორმალურ განვითარებას. ის ითამაშებს ბიძინა ივანიშვილის თამაშს, ასე უნდა შევხედოთ ამ ყველაფერს.

– რა გზით ეცდებით ოპოზიციის კონსოლიდაციის გაგრძელებას და ოპოზიციის შიგნით თანამშრომლობის უფრო გაღრმავებას უნდა ველოდოთ თუ არა?

– მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია თანამშრომლობის გაცილებით მაღალ საფეხურზე ავა უახლოეს პერიოდში. მით უმეტეს მაშინ, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები. საარჩევნო პროცესის დროს ოპოზიციას საარჩევნო სტრატეგია გაცილებით უფრო ეფექტური ექნება. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით, წინასწარ რას გავაკეთებთ და როგორ იქნება ეს ყველაფერი – ერთიანი სიით, ერთიანი ბლოკით თუ მაჟორიტარებზე შეთანხმებით და ა. შ. ჯერ არ მაქვს რეალური ინფორმაცია.

– თქვენი ხედვა საით იხრება?

– მაქსიმალური კონსოლიდაცია უნდა მოხდეს იმისთვის, რომ ოქტომბრის არჩევნებმა მოიტანოს ახალი, გარდამავალი კოალიციური მთავრობის შექმნა და ამის პერსპექტივა გაჩინოს.

– უნდა მოემზადოს ივანიშვილი ოპოზიციაში გადასასვლელად?

– აუცილებლად. მას აქვს სამი არჩევანი და მე მისთვის ვისურვებ მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო არჩევანს. საუკეთესო არჩევანი არის, რომ ის ხელისუფლებიდან გადავიდეს ოპოზიციაში, ცუდი არჩევანი არის, ის რომ ის მიდის პოლიტიკიდან და ქვეყანას ტოვებს, ხოლო ძალიან ცუდი არჩევანი არის ის, რომ ის მიდის იქ, სადაც მე ვიყავი გუშინ. მე მისთვის მსურს მხოლოდ კარგი არჩევანი – ოპოზიციაში გადავიდეს მშვიდობიანად.

– ჯერ კიდევ აქვს ამის შანსი?

– რა თქმა უნდა. ჯერ წითელი ხაზები გადაკვეთილი არ არის. ამ წითელი ხაზების გადაკვეთა ქვეყანასთან ახლოს არის, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ ჩატარდება არჩევნები. სასურველია, თუ ის ამ ხაზებს არ გადაკვეთს და გადავა ოპოზიციაში მშვიდობიანად.

საჩხერეში 11 წლის მოზარდთან გარყვნილი ქმედებისთვის 30 წლის ბესიკ ივანაშვილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1990 წელს დაბადებული, ბესიკ ივანაშვილი საჩხერეში დააკავეს.

მას ბრალად წინასწარი შეცნობით 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ჩადენილი გარყვნილი ქმედება ედება.

30 წლის ბიზნესმენი „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის მეზობელი და ოჯახის ახლობელია.

შვილის დაკავებას ადასტურებს ივანაშვილის მამა, თუმცა მან არ იცის, რა გახდა სპეცოპერაციის ჩატარების მიზეზი.

ბესიკ ივანაშვილის სახელი საეჭვო ტენდერებშიც ფიგურირებს. ის ბოლო წლების განმავლობაში სისტემატურად იგებდა ტენდერებს იმერეთის რეგიონში და მასზე ოპოზიცია ხშირად საუბრობდა, რომ შესყიდვები სწორედ მის კომპანიაზე იყო მორგებული.

დანაშაული 8-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან ჩადენილ გარყვნილ ქმედებას.

ჭიათურაში ბ.გ-მ ჯერ ხ.ც. დაჭრა, შემდეგ კი პოლიციის უფროსს სცემა



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საჩხერის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ბ.გ. პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 15 მაისს ბ.გ-მ ურთიერთშელაპარაკებისას, მის თანამშრომელს – 1987 წელს დაბადებულ ხ.ც.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გაეწია. ხ.ც.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

სისხლიანი დაპირისპირება „ჯორჯიან მანგანეზის“ თანამშრომლებს შორის მაღაროს ტერიტორიაზე დაიწყო. 29 წლის მამაკაცმა მის ხელმძღვანელს 4 ჭრილობა დანით მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მძიმე ჭრილობებით დაშავებული ჭიათურის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

მუშასა და ცვლის უფროსს შორის დაპირისპირების მოტივად სოციალურ პრობლემებს ასახელებს მუშათა პროფკავშირის ხელმძღვანელი. მისი ინფორმაციით, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის კონფლიქტი სამსახურის გამო რამდენიმე კვირის წინ დაიწყო.

თანამშრომლის დაჭრის შემდეგ ბრალდებულმა შემთხვევის ადგილი დატოვა და საჩხერის პოლიციაში თავად გამოცხადდა. რა მოხდა შენობაში, უცნობია, თუმცა საქმის მასალების მიხედვით, 29 წლის მამაკაცი საჩხერის პოლიციის უფროსს საკუთარ კაბინეტში თავს დაესხა და ფიზიკურად გაუსწორდა. ბრალდებული სამართალდამცველებმა ადგილზე დააკავეს. მომხდარის დეტალები არ იციან დაკავებულის მშობლებმა.

დაკავებული ახლა წინასწარი მოთავსების იზოლატორშია გადაყვანილი. მას გამოძიება პოლიციელზე თავდასხმას და განზრახ მკვლელობის მცდელობას ედავება.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულს 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგლა ბარამიძე: „დანიშნული პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ დანამატია“

„სენატორებისა და კონგრესმენების მიმართვა აჩვენებს, რომ საქართველოში მმართველობითი სისტემა მოშლილია“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციური ერთობა არ იშლება. ირაკლი ოქრუაშვილისა და გიგი უგულავას შეწყალების შემდეგ ერთობის წარმომადგენლები მოითხოვენ გიორგი რურუას გათავისუფლებას, რის შემდეგაც პარლამენტმა უნდა მიიღოს დაპირებული საარჩევნო ცვლილებები მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისათვის. შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ერთობის წარმომადგებელს, „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივან გიგლა ბარამიძეს.

– საზოგადოების ნაწილი მიესალმა ორი პოლიტიკოსის შეწყალებას. მეორე ნაწილი ამ ნაბიჯს აკრიტიკებს. კრიტიკოსებში არიან როგორც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები, ისე წევრები. მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ამის გამო აითვალწუნეს პრეზიდენტი. რას იტყვით?

– დავიწყებ იმით, რომ ჩვენი მოქალაქეების ემოციებით თამაშმა ძალიან დააზინა ქართული პოლიტიკური ცხოვრება. საერთოდ, არ შეიძლება ადამიანმა ყველაფერი გრძნობებამდე დაიყვანო და, მაგალითად, შეწყალების აქტი ერთუჯრედიანი ემოციებით განსაჯო. „ქართული ოცნების“ მომხრეებს ვურჩევ, პრეტენზიები წაუყენონ და ყველაფერზე პასუხი მოსთხოვონ უფროსობას, პარტიის ლიდერებს.

– რაზე უნდა მოსთხოვონ პასუხი? შექმნილ რთულ ვითარებაზე?

– ცხადია. გაიხსენონ, რა დაპირებები ჰქონდა „ქართულ ოცნებას“ 2012 წელს. რომელი მათგანი შეასრულა?! არც ერთი. სამართლიანობის აღდგენა ერთ-ერთი შეპირება იყო. ამ მხრივ თითი თითზე არ დაუკარებიათ. საქმეების გადახედვა მიანდეს იმ ხალხს, რომელიც უკანონობაში იყო გარეული. სააკაშვილი დამნაშავედ გამოცხადეს და ვერაფერი უქნეს. ახლა პრეზიდენტყოფილი მეგობარ სახელმწიფოში მაღალ თანამდებობაზე მუშაობს. ამით საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას, „ქართულ ოცნებას“ აგრძნობინეს, რომ არაფრად აგდებენ.

სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი შემოქმედი, ზურაბ ადეიშვილი, მშვიდად და კომფორტულად ცხოვრობს ევროპაში. ასეთივე პირობებში იმყოფება „მოსმენების სამსახურის“ შექმნელი ამირან მესხელი. წინა ხელისუფლების ბინძური, კორუმპირებული და მორალმოშლილი სასამართლო ამ ხელისუფლებამ დედის რძესავით შეირგო, გადმოიბარა და გადმოიფორმა. დაპირებები მერეც ბევრჯერ არ შეასრულა და ბევრი „გადაგდო“. ახლა კიდევ თავიანთი გადაფურთხებულის ალოკვა მოუსდათ.

– ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნების“ მომხრეები ამას გაიაზრებენ?

– მივმართავ „ქართული ოცნების“ იმ მხარდამჭერებს, რომლებიც 200 ლარზე არ არიან გაყიდული და გულწრფელობით გამოირჩევიან! ადამიანიც და ცხოველიც ცოცხალი არსებებია. ადამიანი ცხოველისგან იმით განსხვავდება, რომ აქვს აზროვნების მეტი უნარი. ხომ უნდა გააანალიზოთ, რა ხდება?! თუ მიხვდებით, რაშია საქმე, არჩევნებზე სხვა არჩევანს გააკეთებთ.

– ზოგიერთი ამომრჩევლისათვის კატეგორიულად მიუღებელია ნაციონალური მოძრაობა. ასეთი ადამიანები თქვენს პარტიასაც აკრიტიკებენ.

– ნუთუ ისევ საჭიროა იმის განმარტება, რომ ჩვენ გვინდა ნორმალური არჩევნები, ქმედითი პარლამენტი, სადაც არ იქნება ერთპარტიულობა და ორპარტიულობა. საარჩევნო საკითხებში ჩვენი პოზიცია სხვა პოლიტიკოსებისა და საზოგადოების 90%-ის მოსაზრებებს ემთხვევა. სიტყვაზე, ნაციონალური მოძრაობა ამის გამო რომ ქუჩაში დგას, ჩვენ კაბინეტებში ჩავიკეტოთ?! ოპოზიციური ერთობა შექმნა ამ პრობლემებმა.

– შეწყალების საკითხს დავუბრუნდეთ. სალომე ზურაბიშვილი ამ გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად არ მიიღებდა?

– რასაკვირველია. დანიშნული პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ დანამატია. მე მას „სალომეა კარანტინას“ ვუწოდებ. ტერმინი „კარანტინა“ თვითონ გამოიყენა საჯარო გამოსვლისას. სამწუხაროდ, ქვეყნის პრეზიდენტი ერთი იმათთაგანია, რომელსაც შეადგენს „ქართული ოცნება“. ის იგივეა, რაც თალაკვაძე, მდინარაძე და ძმანი მათნი. როცა „ოცნების“ ლიდერებს დასჭირდებათ, დანიშნულ პრეზიდენტს მაშველ რგოლად იყენებენ. ამით ხდება პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუპატიურება. ამ შეწყალების შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“ სხვა გზა აღარ ჰქონდა დარჩენილი და გამოიყენეს ქალბატონი „სალომეა კარანტინა“. ამაზე „ქართული ოცნების“ წევრების თავდასხმები პრეზიდენტზე სასაცილოა. მაგათ თავიანთი პარტიის მიერ ჩადენილ ღალატზე იფიქრონ!

– „ქართული ოცნების“ მხრიდან ღალატი რაში მდგომარეობს?

– მან გააფუჭა ურთიერთობა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან, თავისი შესაძლებლობებით მსოფლიოში პირველ სახელმწიფოსთან – აშშ-სთან. როცა ამ ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები ამდენჯერ გაკრიტიკებენ და ამდენჯერ ახსენებენ საქართველოს, ეს ღალატია.

– ამ მხრივ გამორჩეულია ოთხი ამერიკელი დეპუტატის, ორი სენატორისა და ორი კონგრესმენის მიმართვა აშშ-ის სახელმწიფო და სახაზინო მდივნებისადმი. ისინი საუბრობენ საქართველოში ამერიკული ბიზნესის შევიწროებაზე, ასევე ქვეყნის მმართველების კავშირებზე რუსეთთან და ირანთან.

– საქართველოს ისტორიაში (უახლეს ისტორიაში) ასეთი შემაშფოთებელი მიმართვა არ მახსოვს. ეს წერილი აჩვენებს, რომ საქართველოში მმართველობითი სისტემა მთლად მოშლილია. მსგავსი წერილობითი მიმართვები აშშ-ში ქვეყნდებოდა ერაყში, პანაში, ეგვიპტეში შექმნილი სიტუაციების გამო. „ქართულ ოცნებაზე“ რაც უნდათ, ის თქვან. მე ძალიან მაწუხებს ის, რომ იკვეთება საქართველოს ინსტიტუტების ასეთი სტაგნაცია და დეგრადაცია.

– გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი პარტიის ლიდერი, ნინო ბურჯანაძე უკრაინაში პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს.

– ამაზე სერიოზულად კომენტარს ვერ გავაკეთებ. ასეთი არაფერი მსმენია. ჩვენს პარტიას ახლა სხვა ამოცანები აქვს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, გავაძლიეროთ ინსტიტუტები, გავხადოთ ქმედითი პარლამენტი და მთლიანად ხელისუფლება. არ დავუშვათ, რომ ხელისუფლებაში იყოს ორპარტიული იწილო-ბიწილო, ან ვინმეს დიქტატურა. ამისათვის საჭიროა ცვლილებები კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსში. საარჩევნო ცვლილებების ბოლო ეტაპზე ვართ. ეს ეტაპი ბილომდე უნდა მივიყვანოთ. მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთის საშუალებით და ყველას მოგილოცოთ 17 მაისი – ოჯახის სიწმინდისა და ტრადიციების დაცვის დღე. ამ დღესასწაულს დიდი დატვირთვა აქვს, იმიტომ, რომ როცა ოჯახები მყარია, მაშინ სახელმწიფოც მყარია.

„ოცნება“ კოალიციურ მთავრობაში მოხვდება, დიდ სისულელეს თუ არ ჩაიდენს“

თორნიკე შარაშენიძე: „ამერიკამ რომ არ გითხრას, დემოკრატია კარგია, ამას შენ თვითონ ვერ უნდა მიხვდე?!“

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

ნონა ცაბაძე

– ბატონო თორნიკე, გასული კვირის ბოლოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიგი უგულავა და ირაკლი ოქრუაშვილი შეიწყალა. ეს ბევრისთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება აღმოჩნდა. არავის სჯერა, რომ ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა დამოუკიდებლად მიიღო. რას იტყვით თქვენ?

– ნამდვილად არავის არ სჯერა და ეს განცხადებები არის უბადრუკი მცდელობა ამ სიტუაციიდან გამოსვლის და თავის მართლების. ამ განცხადებებს აკეთებენ კობახიძე, თალაკვაძე, ანუ ისინი, ვინც გამოიყენეს მშვენივრად. ალაპარაკეს ამერიკელებთან და ევროპელებთან უაზრო ტექსტებით, რომ პოლიტპატიმრები არ გვყავს. ბოლო წუთამდე გამოიყენეს. მერე ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა მართლა უფროსმა, რომ გამოეშვა ეს ადამიანები, გადაურეკა ზურაბიშვილს და იმანაც გამოუშვა. ისე, რომ საქმის კურსში არ ჩააყენა არც ერთი მათგანი. იმიტომ ვნახეთ ჩვენ მათი გამწარებული სახეები. რა დღეშიც იყვნენ, ყველანი ვუყურებდით.

– ანუ თქვენ იზიარებთ ამ მოარულ ხმებს, რომ ივანიშვილმა, პირდაპირ სალომეს დაავალა მათი შეწყალება ისე, რომ თალაკვაძე-კობახიძემ არაფერი იცოდნენ?

– დიახ, ზუსტად მაგას ვამბობ, რომ საქმის კურსში არ ჩააყენა აშკარად. როგორც ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალა, არ ჩააგდო ისინი არაფრად და თავად გადაწყვიტა ეს ყველაფერი და საკმაოდ სწრაფად.

– ეს იყო იმ დიდი ზეწოლის შედეგი და სანქციების შიში, რა გადაწყვეტილებაც ივანიშვილმა მიიღო?

– დიახ, რეალური საფრთხე გამოჩნდა. აქ, ვფიქრობ, დიდი როლი ითამაშა პირადად ამერიკის ელჩმა, რომლისთვისაც ძალიან სერიოზული შეურაცხყოფა იყო ეს გადაგდება, ეს მისი პირველი ელჩობაა და მას უნდა, რომ ეს პერიოდი იყოს წარმატებული და არჩევნები ჩატარდეს ნორმალურად.

– შესაძლოა, რომ უმართავი პროცესები მოჰყოლოდა ამ ყველაფერს, თუკი „ქართული ოცნება“ ჩაშლიდა შეთანხმებას?

– ამას მოჰყვებოდა ძალიან მარტივი რაღაცა. ვნახეთ, რომ წავიდა საუბარი ირიბად. ვერანაირ ფინანსურ დახმარებას საქართველო ვერ მიიღებდა. დღეს კი ფინანსური დახმარება ჰაერივით გვჭირდება. სრულ კატასტროფას მიიღებდა ქვეყანაც და მმართველი პარტიაც. ისიც ცხადია, რომ ამ ფონზე „ოცნება“ არჩევნებს წააგებდა.

– დღეს საზოგადოების ერთი ნაწილი ამ სიტუაციას აფასებს, როგორც შანტაჟს ამერიკის მხრიდან და ზეწოლას ხელისუფლებაზე. ასევე შიდა პოლიტიკურ პროცესებში ჩარევას. ამაზე რას იტყვით?

– თუ საზოგადოების ეს ნაწილი არის მზად, რომ უარი თქვან დახმარებაზე და ამერიკას დაუბრუნონ უკან ის მილიარდები და ის ტექნიკური დახმარება, რაც საქართველომ მიიღო ამერიკისგან, ყველაფერი დაუბრუნონ და უთხრან, რომ კარგად იყავით, ჩვენ ჩვენს ჭკუაზე ვიცხოვრებთ. საქართველოა ამერიკაზე დამოკიდებული და არა – პირიქით.

– რადგან გვეხმარებიან, ჩვენი ვალდებულებაა, რომ ყველა მათი მითითება შევასრულოთ?

– ის გეხმარება და საქართველოსგან ითხოვს, რომ შენ გახდე დასავლური ორიენტაციის ქვეყანა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკით, არამედ შიდა პოლიტიკაც იყოს დასავლური. ანუ დემოკრატია უნდა იყოს ქვეყანაში. დემოკრატიაში ცუდი რა არის?! იმათ ვუსვამ ამ შეკითხვას, ვინ გაბრაზებულია ამ ვითომ შანტაჟით. დემოკრატიაში ცუდი რა არის, ამერიკამ რომ არ გითხრას, რომ დემოკრატია კარგია, ამას შენ თვითონ ვერ უნდა მიხვდე?! რა აუიცლებელია გარედან ძალის დატანება დემოკრატიისთვის?!

პროპორციული არჩევნები რომ უკეთესია, ვიდრე მაჟორიტარული, ამას ხომ ყველა ხვდება ახლა. რად გინდა ამერიკისგან ამდენი ჩიჩინი, ამას შენითაც ხომ უნდა მიხვდე.

– რამდენად დაკარგავს „ქართული ოცნება“ საზოგადოების ამ გაბრაზებულ ნაწილს წინასაარჩევნოდ?

– შეიძლება არ დაკარგოს, ეს რა კატეგორიაა, ხომ იცით? გაბრაზდება, აგინებს, გალანძღავს და მერე ისევ ნაციონალების ჯიბრზე მაინც „ოცნებას“ მისცემს ხმას.

– ოპოზიცია გიორგი რურუას გათავისუფლებასაც ითხოვს. დაუჭერს კანონპროექტს მხარს, თუკი მას არ გამოუშვებენ? დააკმაყოფილებს ივანიშვილი ამ მოთხოვნასაც?

– რურუას დაპატიმრებაში გაცილებით ნაკლებ აზრს ვხედავ, ვიდრე ოქრუაშვილის და უგულავას დაპატიმრებაში. ესენი პოლიტიკოსები არიან. ოქრუაშვილი თავის დროზე ჩამოიყვანეს, ტაშფანდურით დახვდა „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა მას და რატომ?!

– რატომ?

– იმიტომ, რომ გამოეყენებინათ სააკაშვილის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მერე, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ არა უშავს, იყოს, ოღონდ პოლიტიკაში ნუ ჩაერევა. ჩაერია პოლიტიკაში, გაბრაზდნენ, დაიჭირეს. იმიტომ, რომ ოქრუაშვილმა შეთანხმება არ შეასრულა.

ხოლო რურუასთან რა შეთანხმებაზეა საუბარი? ის არანაირად პოლიტიკოსი არაა და არც შეხვედრია ივანიშვილს საერთოდ. აქედან გამომდინარე, ნაკლები მოტივაცია აქვთ რურუას ციხეში ყოფნის, ვიდრე ოქრუაშვილის და უგულავასი.

– რამდენად სახიფათონი ხდებიან უგულავა და ოქრუაშვილი ხელისუფლებისთვის? ისინი ციხიდან გამოვიდნენ ახალი იმიჯით, პოლიტპატიმრის სტატუსით.

– პოლიტიკური მოტივით ციხეში ყოფნა, ბუნებრივია, პოლიტიკოსს სძენს რაღაცა ახალს, ეს უფრო აძლიერებს. მოდით, ასე ვთქვათ, საერთოდ რომ არ დაეჭირა „ოცნებას“, რა ზიანს მიიღებდა ისეთს უგულავასგან?! პოლიტიკური ლიდერების ციხეში ჩასმა დიდი სისულელეა.

– იცვლება პოლიტიკური სურათი წინასაარჩევნოდ?

– დაახლოებით სამი კვირის წინ ჩვენ ვუყურებდით, რომ საქართველო კარგად უმკლავდებოდა კორონავირუსს პროფესიონალი კარგი ექიმების და ხელისუფლებაში არსებული ერთი-ორი კარგი მენეჯერის წყალობით. ბუნებრივია, ეს მიღწევა დაიწერა „ქართულმა ოცნებამ“ და მისი შანსი არჩევნების მოგების საკმაოდ გაზრდილი იყო. თუმცა მერე მოუნდათ ეს სისულელე, 8 მარტის შეთანხმების დარღვევა და მიიღეს ძალიან სერიოზული დარტყმა. ვნახოთ, მომავალში რა მოხდება.

– არჩევნების გადადების შანსი რამდენად არის?

– არა მგონია, რომ არჩევნები გადაიდოს.

– შეთანხმებას ხელს აღარაფერი უშლის. წესით, 120/30-ზე გავა პარლამენტში. ამ ფონზე რა შანსები აქვს „ოცნებას“?

– თუ სისულელეს არ ჩაიდენენ, იმის შანსი აქვთ, რომ კოალიციურ მთავრობაში მოხვდნენ. მათი მთავარი პრობლემაა ის, რომ მათთვის არჩევნების წაგებით ყველაფერი მთავრდება საერთოდ. თუ ნორმალური სახელმწიფოს შექმნა უნდათ, უნდა გაითავისონ, რომ არჩევნების წაგებით არ მთავრდება არაფერი. ამაში კატასტროფა არაფერია.

არჩევნები არ უნდა დაემსგავსოს სამოქალაქო ომს და ეს, პირველ რიგში, დამოკიდებულია ყოველთვის მმართველ პარტიაზე.

არც ახლა ველოდები, რომ ეს არჩევნები მშვიდად ჩაივლის.

კალიფორნიაში აღმოაჩინეს ანტისხეულები, რომლებიც კოვიდ 19-ს 4 დღეში განდევნის

აშშ-ში, კალიფორნიის შტატში მდებარე ბიოფარმაცევტული კომპანია „სორენტო თერაფიუთიქსი“ აცხადებს, რომ აღმოაჩინა ანტისხეულები, რომლებიც ორგანიზმს კორონავირუსისგან იცავს.

კომპანიაში აცხადებენ, რომ მათ მიერ აღმოჩენილ ანტისხეულს შეუძლია, კორონავირუსი ადამიანის ორგანიზმიდან ოთხ დღეში განდევნოს.

მათივე თქმით, სტი-1499 ანტისხეულს კოვიდ 19-ის სრულად განადგურება შეუძლია და მასზე წვდომა მოსახლეობას ვაქცინის შემუშავებამდე ბევრად ადრე შეიძლება ჰქონდეს.

კომპანიის ცნობით, როდესაც ანტისხეული ვირუსს ხელს უშლის, შეაღწიოს ადამიანის უჯრედებში, ვირუსი სიცოცხლისუნარიანობას კარგავს და ვეღარ მრავლდება.

– გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ არსებობს წამალი. ეს მიდგომა შემთხვევების 100 პროცენტში მუშაობს. თუ ჩვენ გამანეიტრალებელი ანტისხეული გვექნება, მაშინ სოციალური დისტანცირება აღარ დაგვჭირდება და შევძლებთ, ქვეყნები შიშის გარეშე გავხსნათ, – აცხადებს „სორენტო თერაფიუთიქსის“ დამფუძნებელი ჰენრი ჯი.

„ქართული ოცნება“ სპექტაკლების დადგმაში თეატრებს ნუ შეეცილება“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატების“ წარმომადგენელი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, ალბათ საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტში გავა. ამის შემდეგ პოლიტიკური პროცესები როგორ შეიძლება განვითარდეს?

– საკონსტიტუციო ცვლილებები ხელისუფლებას არ უნდოდა არც მაშინ, როდესაც პარლამენტში კანონპროექტი ჩავარდა და არ უნდა არც ახლა. თუმცა, ის იძულებულია საერთაშორიო საზოგადოების ზეწოლით ეს გააკეთოს.

ქვეყნის მოქალაქეებმა, დასავლეთმა, კიდევ ერთხელ დაინახა, რომ სამართლიან და კეთილსინდისიერ პარტნიორთან საქმე არ აქვს. „ქართული ოცნება“, თუ მას სჭირდება, ტყუილზეც წავა და სპექტაკლსაც დიდი ოსტატობით დადგამს. მე კი ვურჩევდი, თეატრებს ნუ შეეცილებიან.

ეს საკონსტიტუციო ცვლილებები „ქართულ ოცნებას“, პირდაპირ გეუბნებით, არ აწყობს. ახლა უფრო კარგი, ბევრად უკეთესი შესაძლებლობა ჰქონდა, რომ ცვლილებები ჩაეგდოთ და ამის მიზეზად არა საკუთარი თავი, არამედ ოპოზიცია დაესახელებინა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ. წინა შემთხვევაში თუ ამ ჩავარდნამ ძალიან „იყვირა“, ახლა ეს ძალიან ბუნებრივად მოხდებოდა.

რაც შეეხება საარჩევნო სისტემას: მე მაჟორიტარული არჩევნების მომხრე ვიყავი ჯერ კიდევ საპარლამენტო უმრავლესობაში ყოფნის დროს. ყოველთვის ვამბობდი, რომ მაჟორიტარული არჩევნები მირჩევნია პროპორციულ არჩევნებს. რატომ? ამის ასახსნელად მყარი არგუმენტები მაქვს. თუმცა, რეალობის გათვალისწინებით, დღეს ჩემი პოზიცია და განწყობა ცნობილია.

– ძალიან მნიშვნელოვანია, რა პოზიცია ექნებათ დამოუკიდებელ დეპუტატებს? თქვენ მხარს დაუჭერთ კანონპროექტს?

– დიახ, მე მხარს დავუჭერ. რადგან ვთვლი, ამ საკონსტიტუციო ცვლილებისთვის ხმის არ მიცემა სახელმწიფოებრივად სწორი არ არის.

– ფრაქციაში ერთიანი პოზიციაა?

– მთლიანობაში ერთიანი პოზიციაა. განსხვავებული პოზიცია ლევან კობერიძეს აქვს, რომელიც თვლის, არჩევნები საყოველთაო უნდა იყოს. თუმცა, მისი საბოლოო პოზიცია როგორი იქნება, მე ვერ გეტყვით.

– შეიძლება კვლავ იგივე სცენარი განმეორდეს და კანონპროექტი მაინც ჩავრდეს? „ოცნებაში“ ერთიანი პოზიცია კვლავ არ იყოს?

– ვერ გეტყვით, რა მოხდება, მაგრამ ღია კენჭისყრაა. კენჭისყრის დასრულების შემდეგ სია ამოვა და ცნობილი გახდება, ვინ მისცა ხმა და ვინ – არა. ჩემს ხმას „ოცნება“ ვერ აკონტროლებს. უმრავლესობაში რომ ვიყავი, მაშინ ვერ აკონტროლებდნენ გარანტირებულად. მორჩილ დეპუტატად არ ვითვლებოდი, ახლა, მით უმეტეს. არჩილ თალაკვაძემ რომ დამირეკოს და მითხრას, შენი ხმა გვჭირდება, ალბათ ძალიან უხეშ პასუხს მიიღებს ჩემი მხრიდან. ირაკლი კობახიძემ რომ დამირეკოს, ეს ძალიან მეეჭვება. ამიტომ, ჩემი მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა: მწვანე ღილაკს უნდა მივაჭირო, რომ ეჭვქვეშ არ დადგეს ქვეყნის სტაბილური განვითარება. ვინც ხმას არ მისცემს, ის ეჭვქვეშ აყენებს ქვეყნის სტაბილურ, ევოლუციურ განვითარებას. ამიტომ, არ შეიძლება ამ შეთანხმების ჩაგდება. ამით სახელმწიფო დაზარალდება.

– ოპოზიცია უგულავას და ოქრუაშვილის განთავისუფლებით კმაყოფილია. ახლა რურუას განთავისუფლების მოლოდინში არიან. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა? „ოცნება“ ამბობდა, რომ პოლიტპატიმრები არ გვყავს.

– ხელისუფლებას ან არ უნდა დაედო ასეთი შეთანხმება, ან თუ დადო, უნდა შეესრულებინა! სიტყვის გატეხვა და სიტყვაზე გადასვლა ძალიან ცუდია ყველას თვალში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ეს სრულიად წარმოუდგენელი და აღმაშფოთებელი იყო დასავლელი პარტნიორებისთვის!

რაც შეეხება ამ კონკრეტულ საქმეებს: მე ვთვლი, რომ სამივე შემთხვევაში ხარვეზი იყო. ოქრუაშვილის, რურუას და უგულავას მიმართ მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს, მაგრამ ჩემთვის ცალსახაა, ქვეყანაში პოლიტიკურად მოტივირებული დაჭერა არ უნდა იყოს. ამ შემთხვევებში ნამდვილად იყო პოლიტიკური მოტივი. სახელს და გვარს ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. სტანდარტი ყველასთვის ერთი უნდა იყოს.

– დაკავებულების განთავისუფლების შემდეგ პოლიტიკური პროცესი შეიძლება ისეთი მწვავე და დაძაბული აღარ იყოს. თუმცა, გამორიცხავთ, რომ არჩევნების წინ მოვლენები კვლავ დაიძაბოს?

– გამორიცხვით არაფერს არ გამოვრიცხავ. ახლა ყველაზე მეტად პოლიტიკური პოლარიზება „ქართულ ოცნებას“ აწყობს. ხელისუფლების ამოცანაა კვლავ წარმოაჩინოს, რომ მისი ალტერნატივა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობაა“ და რომ მის იქით გზა არ არის. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ერთიც წარსულია და მეორეც.

გედევან ფოფხაძე: „საკონსტიტუციო ცვლილებები „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს“

დავით ბერძენიშვილი: „ივანიშვილს დასარჩენი არც დასავლეთში აქვს და არც რუსეთში“

„ხელისუფლებას მოუწევს სხვადასხვა ფლანგის ოპოზიციასთან მძიმე ჭიდილი“

იავო ნაცვლიშვილი

რით აიხსნება „ქართული ოცნების“ მოულოდნელი დათმობა და პრეზიდენტის მხრიდან ირაკლი ოქრუაშვილისა და გიგი უგულავას შეწყალება? რა როლი ჰქონდა ამ პროცესში ოპოზიციას და რა — დასავლელ პარტნიორებს? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი საუბრობს.

– „ქართული ოცნება“ არ აპირებდა დათმობას პოლიტპატიმრების გათავისუფლებასთან დაკავშირებით, მაგრამ მოუწია უკან დახევა. რატომ მოუხდა ივანიშვილს ასე მალე დათმობა?

– როდესაც ივანიშვილმა და მისმა „ოცნებამ“ დააპირა, რომ ოპოზიცია ჩავეყენებინეთ ცუდსა და უარეს მდგომარეობას შორის, ჩვენ გამოცდილებით, პოლიტიკური ინტელექტით, ერთმანეთთან კონსულტაციებით, ერთმანეთის მიმართ გაჩენილი ნდობით, ამ ყველაფრის გათვალისწინებთ და არსებული რეალობის ადეკვატური შეფასებით გადავწყვიტეთ, რომ ამ ცუდსა და უარესს შორის არჩევანი იქით შეგვეტრიალებინა ივანიშვილისთვის. ის გვეუბნებოდა, რომ ორიდან ერთს დაემშვიდობეთ – პოლიტპატიმრებს, მაგრამ საარჩევნო საკითხზე გამომყევით და მერე მე გადავწყვეტ, რა როგორ გავაკეთოო. ჩვენ ვუთხარით, რომ არ დავემშვიდობებით და იქეთ დაემშვიდობები მაგ ილუზიებს – საარჩევნო სისტემაც იქნება გატანილი და პოლიტპატიმრებსაც გამოგაშვებინებთ, ან გამოგაშვებინებენო, რაც პრინციპში ერთი და იგივეა.

– კარგად გაიგო თქვენი გზავნილი ივანიშვილმა?

– დიახ. ბუნებრივია, ჩვენ არ ვიყავით ერთადერთი და მთავარი კომპონენტი ივანიშვილის ამ დამყოლად გახდომაში. ბუნებრივია, აქ ძალიან მნიშვნელოვანი იყო დასავლეთის ზეწოლის გაძლიერება როგორც ბრიუსელიდან, ისე ვაშინგტონიდან. როდესაც ვერ გააგებინეს მას დიპლომატიური ენით, უთხრეს, პოლიტპატიმრები გყავთ და ეს არ შეიძლებაო.

– ევროკავშირის მხრიდან საუბარი იყო 500 მილიონიან დახმარებაზე პოსტპანდემიურ პერიოდში და საკითხი დაისვა, რომ ამ თემას უკავშირდებოდა მისი მოცემა-არმოცემის საკითხი. ეს ხომ არ იყო გადამწყვეტი?

– კი. კუბილიუსს უზარმაზარი გავლენა აქვს და ორჯერ ლიტვის პრემიერი იყო და ლიტვის უდიდესი კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარე მრავალი წლის განმავლობაში. საქართველოს საქმეების უფროსია, ერთ-ერთი წამყვანი მთავარი უფროსია ევროპარლამენტში და არის ჩვენიანი, საქართველოს მხარეს არის. იგივე შემიძლია ვთქვა ამერიკის სენატის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარეზე, რომელიც აქაც კი იყო 2012 წელს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მან, ასევე მაშინდელმა ელჩმა ნორლანდმა, იმაში, რომ არჩევნების შედეგები მყისიერად ყოფილიყო გააზრებული და აღიარებული სააკაშვილის ხელისუფლების მიერ. ესაა ის ხალხი, რომელიც ქვეყანას ეხმარება და არა – მის რომელიმე ერთ ხელისუფლებას და რომელიმე ერთ პოლიტიკურ ძალას.

– მივა თუ არა პროცესი ბოლომდე?

– კი, ამაში უკვე დარწმუნებული ვარ.

როდესაც აღმოსავლეთ ქვეყნების პარტნიორობისთვის გამოიყო 1 მილიარდი ევრო და იქიდან ნახევარი მარტო საქართველოში მოდის, გავიაზროთ, რა ოდენობის მხარდაჭერას იღებს საქართველო. აღმოსავლეთ პარტნიორობაში ბევრი ქვეყანაა და ჩვენზე გაცილებით დიდიც და არაერთი. მათ ეს ფინანსური დახმარება მიაბეს 8 მარტს ხელმოწერილი შეთანხმების დაცვას ხელისუფლების მხრიდან.

ამასთანავე არავინ არ აპატიებდა აშშ-ის ელჩის რეზიდენციაში, აშშ-ის ელჩის, ევროკავშირის წარმომადგენლის, გერმანიის ელჩის... ასეთი აქტიურობის შედეგად მიღწეული შეთანხმების გადახევას. საქართველოს ხელისუფალი ბიძინა ივანიშვილი არის პოლიტიკური ჭანჭიკი, მსოფლიო პოლიტიკის რუკაზე ის არ ჩანს და არც იკითხება. მით უმეტეს, ამ კორონა ჟამიანობის დროს ისეთი მოშიში გამოდგა, რომ კაცი 2.5 თვეა დამალულია. ერთადერთია მთელ მსოფლიოში მილიარდერთაგან და ხელისუფალთაგან, ხელისუფალი მილიარდერი კი ერთადერთი განუმეორებელია. ასეთი მხდალი ხელისუფლის ვის ეშინია? ასევე არაადეკვატურობის მაღალი ხარისხი იყო.

როგორც ჩანს, ბოლო წვეთი იყო ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და ფინანსთა მინისტრისადმი მიწერილი წერილი კონგრესმენებისა და სენატორების მხრიდან, რომ ივანიშვილი აქ რუსეთის და ირანის ინტერესებს იცავს. ანაკლიის პროექტი ჩააგდო, ამერიკულ კაპიტალს აზარალებს და ეს უკვე ივანიშვილისთვის, ეტყობა, იყო წითელი მაშხალა, რომელმაც გააგებინა, რომ საქმე სერიოზულადაა და არ გაკოჭონ.

– კონგრესმენების და სენატორების წერილი უნდა გავიგოთ მხოლოდ არჩევნების და პოლიტპატიმრების კონტექსტში თუ ეს არის უფრო გრძელვადიანი ხედვა და მოთხოვნა ხელისუფლების მიმართ, რომ გონს მოეგოს ამ მიმართულებით, სანამ დროა?

– საერთოდ, საქართველოს ეუბნებიან, რომ ჩვენ თქვენ გეხმარებით ყველანაირად, რომ დაგიცვათ და თქვენი უსაფრთხოება და კეთილდღეობა იყოს ნატოსა და ევროკავშირში. თუ საქართველოს სახელისუფლებო თუ არასახელისუფლებო რომელიმე პარტია ამას ეწინააღმდეგება, მის წინააღმდეგ ბერკეტებს აამუშავებს მსოფლიო დემოკრატიის ფლაგმანი აშშ და ასევე მეორე ფლაგმანი ევროკავშირი. ახლა საქართველოს ხელისუფლების მიმართ ნდობა განულებულია და ახლა ჩათვალეს საჭიროდ მისი კედელთან მიყენება.

მე ვთქვი, რომ აბაშიძეს მოსკოვში ჰქონდა გასაქცევი და შევარდნაძეს კრწანისში დასარჩენი. ივანიშვილს არ აქვს არც დასავლეთში, არც რუსეთში, არც ჭორვილა-ურეკში მშვიდი ცხოვრების გარანტიები.

– რუსეთშიც არ აქვს გასაქცევი?

– არ აქვს, იქაც არავინ ეპატიჟება. თან არც უნდა იქ. მაინცდამაინც რუსული საქმეებიც ვერ აკეთა. ბიძინა ივანიშვილისთვის მთავარი ორიენტირი არის საკუთარი ხელისუფლობა მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამისთვის ხან პროდასავლელი იქნება, ხან არადასავლელი და ხან პრორუსი. მისი ბოლო წლების ქმედებები რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. იქ ხედავს ის საკუთარი ხელისუფლების სიმტკიცეს. რუსულ ორბიტაში უფრო, ვიდრე დასავლეთში. ეს დასავლეთი ოხერია, სულ დემოკრატიას ითხოვს.

– წერილს რომ მივუბრუნდეთ, ელოდებით თუ არა, რომ ამ მიმართულებით ისევ იქნება კატეგორიული მოთხოვნები აშშ-ის მხრიდან, რათა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები ანაკლიის პროექტთან მიმართებით?

– მე ვვარაუდობ, რომ კი, თუმცა არჩევნებამდე ნახევარი წელია დარჩენილი. ამ ხელისუფლების პირობებში დაიწყება ეს თუ არჩევნების შემდეგ პირველივე დღეებიდან, ამაზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობა იქნება და ამის მკაფიო დასტური იქნება, თუ პირდაპირ გამოჩნდებიან ამერიკული კომპანიები, რომლებიც ანაკლიის პორტზე განაცხადებენ პრეტენზიებს და წარდგებიან შესაბამისი პროექტებით.

– ოპოზიცია იყავით სრულად კონსოლიდირებული. გაგრძელდება თუ არა ეს კონსოლიდაცია მთელი საარჩევნო კამპანიის პერიოდში?

– საარჩევნო პროცესი იქნება. ოპოზიცია ერთმანეთთან მიმართებაში არ იქნება მტრული. იქნება ლოიალური ერთმანეთის მიმართ. თუ რომელიმე ოპოზიციური პარტია ფსევდოოპოზიციური გახდება, ამის თქმასაც არავინ მოერიდება. ნორმალური პროცესი მიმდინარეობს. ოპოზიციის მხარეს მეტი გამოცდილება და ინტელექტია. ჩვენ სწორად შევაფასეთ ვითარება იმ თვალსაზრისით, რომ გვითხრეს – ნაციონალურ მოძრაობას და „ევროპულ საქართველოს“ ისეთ პირობებს შევუქმნით, რომ ისინი უბრალოდ ვერ შეძლებენ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას და მერე ამას მოაყოლებდნენ, გვინდოდა ცვლილებები, მაგრამ საკმარისი ხმები არ გვაქვსო.

ამ დროს ოქროს ხმების ფუნქცია შეასრულა დაახლოებით 20-მდე დეპუტატმა, რომლებმაც სულ ბოლო დროს დატოვეს „ქართული ოცნება“ და რომლებმაც თქვეს, რომ ჩვენ თან ვაპირებთ ხმის მიცემას 120/30-თვის და თან დაადასტურეს, რომ ნამდვილად იყო შეთანხმება პოლიტპატიმრებზე. თამარ ჩუგოშვილი ამაზე სულ ლაპარაკობდა, რომელიც მონაწილეობდა პროცესში. ოპოზიცია ერთმანეთს კი ვერ წაკიდა ხელისუფლებამ, არამედ ოპოზიციამ თქვა, რომ ჩვენ ორი ხელით გეთამაშებით, ორი ტაქტიკით და არ მოგცემთ საშუალებას, რომ ჩააგდო საკონსტიტუციო ცვლილებები და ამასთანავე არ მოგეშვებით პოლიტპატიმრების საკითხშიო.

ჩვენ რაკი თავიდანვე ვთქვით ორივე, ეს, ბუნებრივია, ემყარებოდა მსჯელობას, არგუმენტებს და სწორი აღმოვჩნდით ის ხალხი, რომლებიც ვიძახდით, რომ ცუდსა და უარესს შორის არ ავირჩევთ ცუდს. ხელისუფლებას იქით ჩავაყენებთ ცუდსა და უარესს შორის არჩევანში და ეს მოხერხდა. ჩვენ ვთქვით ორივე და მივიღეთ ორივე.

– თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ოპოზიციაში არის დღეს ისეთი ძალები, რომელთაგან ერთერთისთვის კატეგორიულად მიუღებელია მეორე და ამას მთელი ამ მოლაპარაკების მანძილზე მუდმივად იმეორებდა.

– თუ „პატრიოტთა ალიანსს“ გულისხმობთ, ეს არ გამოდგება ამ შემთხვევის მსჯელობისთვის.

– არა, თაკო ჩარკვიანს ვგულისხმობ, რომელსაც ბურჯანაძის კატეგორიული მიუღებლობა აქვს.

– კი, თუმცა, ბუნებრივია, ეს არ ცვლის სურათს. ეს არ არის პოლიტიკური მასშტაბის თემა.

– ანუ ყველა პარტია აგრძელებთ თანამშრომლობას?

– ჯერჯერობით ეს არის საარჩევნო პროცესი. როცა პროცესი მივა ბოლომდე, რურუაც გამოვა ციხიდან და საკონსტიტუციო ცვლილებებიც იქნება მიღებული, მერე გადავა პროცესი კონკურენტულ-პარტნიორულ რეჟიმში, მაგრამ ოპოზიცია ერთმანეთის მიმართ არ იქნება მტრული.

ხელისუფლებას მოუწევს სხვადასხვა ფლანგის ოპოზიციასთან მძიმე ჭიდილი.

ადვოკატები 18 მაისს გიორგი რურუას გათავისუფლებას მოითხოვენ

„მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილის, ბრალდებულ გიორგი რურუას ადვოკატები, 18 მაისს დაგეგმილ სასამართლო პროცესზე რურუას გათავისუფლების შუამდგომლობას დააყენებენ. აღნიშნულის შესახებ ინტერპრესნიუსს ბრალდებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა, დიმიტრი საძაგლიშვილმა განუცხადა.

როგორც საძაგლიშვილი განმარტავს, ისინი სასამართლოს გიორგი რურუას აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შუამდგომლობით მიმართავენ. ადვოკატის თქმითვე, რურუას პატიმრობაში დატოვების სამართლებრივი საფუძვლები აღარ არსებობს, ვინაიდან მოწმეთა უმეტესობა უკვე დაკითხულია.

ამასთან, საძაგლიშვილი აცხადებს, რომ დაკითხული პოლიციელებიც კი ვერ ადასტურებენ, რომ გიორგი რურუას ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა.

– გიორგი რურუას გათავისუფლებას 18 ნოემბრიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ის უკანონოდ დააკავეს, ველოდებით. სასამართლოს ყველა სხდომაზე და ყველა შესაძლებლობაზე მის გათავისუფლებას ვითხოვდით. რაც შეეხება გათავისუფლების მექანიზმს, სასამართლოში მხარეებს შეუძლიათ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, ან გაუქმების შუამდგომლობა დააყენონ. ეს შეუძლია როგორც დაცვის მხარეს, ასევე პროკურატურას.

გიორგი რურუას პატიმრობაში ყოფნის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ორშაბათს ვაპირებთ აღნიშნული შუამდგომლობის დაყენებას, ეს გამონაკლისი არ იქნება, ვინაიდან, როგორც მოგახსენეთ, ყველა სხდომაზე ვაყენებდით გიორგი რურუას გათავისუფლების შუამდგომლობას, ახლა უკვე სამართლებრივი საფუძველიც გვაქვს და, ბუნებრივია, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გავუშვებთ.

მოწმეების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკითხულია, შესაბამისად, რაც უფრო მეტი მოწმე იკითხება, მით უფრო მეტად ეცლება პროკურატურის თუნდაც აბსურდულ არგუმენტს საფუძველი, რომ რურუამ ვინმეზე შეიძლება ზეწოლა მოახდინოს.

ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იმ მოწმეების ჩვენებებით, რომლებიც უკვე დაიკითხნენ, დასტურდება, რომ გიორგი უდანაშაულოა, მათ შორის, პოლიციელების ჩვენებით. არაერთი პოლიციელი დაიკითხა და პრინციპში, მათი ძირითადი ნაწილი არ ადასტურებს, რომ გიორგი რურუას ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა და რომ საერთოდ მისი პირადი ჩხრეკა ჩატარდა. ესეც, ბუნებრივია, პატიმრობის გაუქმების საფუძველია, – აცხადებს საძაგლიშვილი.

მას პროკურატურისგან მოლოდინი არ აქვს, რომ სასამართლოს რურუას მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართავს.

– მოლოდინი არ მაქვს არც პროკურატურასთან და არც სასამართლოსთან მიმართებაში და არც მინდა მქონდეს. ეს რეალური საქმე რომ იყოს, როგორც ადვოკატს, შეიძლებოდა მევარაუდა, რომ ახლა ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მოსამართლემ, პროკურატურამ, მაგრამ ვინაიდან ეს პროცესი თავიდანვე პოლიტიზირებული იყო, შეუძლებელია, წინასწარ განჭვრიტო, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. დარწმუნებული ვართ, რომ სიმართლე აუცილებლად გაირკვევა და დადგინდება მათ შორის ის, როგორ მოხდა გიორგი რურუასთვის ცეცხლსასროლი იარაღის ჩადება, მაგრამ ეს როდის მოხდება და რა ფორმით, წარმოდგენა არ მაქვს.

ვიმეორებ, ძალიან მყარი სამართლებრივი საფუძველი არსებობს, რომ გიორგი რურუა პატიმრობიდან გათავისუფლდეს, ეს საფუძველი ადრეც არსებობდა, მოსამართლე აღკვეთს ახლა შეუცვლის თუ არა, არ ვიცი, – აცხადებს საძაგლიშვილი.

კითხვას, შესაძლოა თუ არა, გიორგი რურუასაც პრეზიდენტის შეწყალება დასჭირდეს და მის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დააყენოს, საძაგლიშვილი პასუხობს, ამის წინასწარ განსაზღვრა რთულია.

– რაც შეეხება სასამართლოს მიერ გიორგის დამნაშავედ ცნობას, ეს დღეს და ხვალ ვერ მოხდება, რადგან საქმის განხილვის დასასრულებლად დროა საჭირო, არსებობს ზემდგომი ინსტანციები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ამ ყველაფრის პარალელურად არსებობს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია შეწყალების მექანიზმით ნებისმიერი პირი გაათავისუფლოს, ვის მიმართაც გამამტყუნებელი განაჩენია დამდგარი, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

გიორგი რურუა სამართალდამცავებმა 18 ნოემბერს, სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს იუესეიდის მხარდაჭერით საველე კარვები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს საქართველოში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ორი ერთეული საველე კარავი გადაეცა. პროექტი „ზრდა საქართველოში“ და მისი პარტნიორი – „ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ მხარდაჭერით განხორციელდა.

კარვების მოცულობა 40 და 20 კვადრატული მეტრია. ორივე მათგანი აღჭურვილია გათბობის სისტემით. კარვებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა სახის სახანძრო და სამაშველო ოპერაციების შესრულებისას გამოიყენებს. კარვებში, ასევე, შესაძლებელია საველე ჰოსპიტალის მოწყობაც.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გამართულ ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი, იუესეიდის მისიის დირექტორი პიტერ ვიბლერი და კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრის უფროსი ვანო გრიგოლაშვილი ესწრებოდნენ.

საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და ეფექტური რეაგირების მიმართულებით, ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის პრიორიტეტულია. მეხანძრე-მაშველები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და საველე სწავლებებში. ასევე, კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრმა არაერთი პროექტის გახორციელებით მნიშვნელოვნად გააძლიერა სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები. უახლოეს მომავალში დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისთვის სახანძრო კიბის გადმოცემა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ეტაპობრივად იწყებს სერვისების განახლებას

სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო 18 მაისიდან ეტაპობრივად იწყებს COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებებიდან გამომდინარე შეზღუდული სერვისების მიწოდებას და ყოველდღიურ სამუშაო რეჟიმს უბრუნდება.

აღსანიშნავია, რომ სერვისების მიწოდებისას, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, მომსახურების სააგენტო სრულად ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს.

პირველ ეტაპზე აღდგება მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდები. იმ პირებს, ვისაც ჩაბარებული აქვთ მართვის უფლების მისაღები თეორიული გამოცდა, საშუალება ეძლევათ, ისარგებლონ პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების სერვისით.

ამასთანავე აღდგება ძველი ნიმუშის სანომრე ნიშნების შეცვლის სერვისი.

ამ ეტაპზე, მომსახურების სააგენტოში დროებით არ ხორციელდება:

– სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღებ თეორიულ გამოცდაზე ელექტრონული რიგის დაჯავშნა და თეორიული გამოცდის მიღება;

– ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები.

რაც შეეხება ცნობებს პირის ნასამართლობის, პირის მსჯავრდების, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის, პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის და იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ამ ეტაპზე განაცხადის მიღება ხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, სააგენტოს ვებგვერდიდან.

სატრანსპორტო საშუალების საბაჟო და სარეგისტრაციო მომსახურება ჩვეულ რეჟიმში ხორციელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 89 ფაქტი გამოავლინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 89 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ 16 მაისის 21 საათიდან 17 მაისის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 81 მოქალაქე დააჯარიმა.

მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე 7 პირი დააჯარიმეს.

პოლიციამ თვითიზოლაციის წესის დარღვევის 1 ახალი ფაქტი გამოავლინა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

ოთარ ფარცხალაძის ძმა, თორნიკე ფარცხალაძე დააკავეს

სამართალდამცავებმა ყოფილი გენერალური პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის ძმა, თორნიკე ფარცხალაძე დააკავეს. სამართალდამცავებმა დაკავებულს პირადი ჩხრეკისას 1 აბი „სუბოქსინი“ აღმოუჩინეს.

16 მაისს ოთარ ფარცხალაძის ძმას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

თორნიკე ფარცხალაძეს 6-წლიანი პატიმრობა ემუქრება. „კურიერის“ ინფორმაციით, დაკავებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელია, მისი დაკავება კი სწორედ ამ უწყების თანამშრომლებმა განახორციელეს.

ოთარ ფარცხალაძე აღნიშნულზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა მისი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ამბობენ, რომ ოთარ ფარცხალაძესა და მის ძმას, წლებია ერთმანეთთან ურთიერთობა აღარ აქვთ.

– არაფერი ვიცი, როდის რა მოხდა. ფაქტი დადასტურებულია, სხვას ვერაფერს ვიტყვი. წლებია, ოთარ ფარცხალაძესა და მის ძმას ერთმანეთთან ურთიერთობა აღარ აქვთ და, შესაბამისად, არაფერი იცის. სად და რა ვითარებაში მოხდა მისი დაკავება, ჩემთვის უცნობია, – განაცხადა ოთარ ფარცხალაძის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა.

უკრაინამ საქართველოს ცეზარ ტოხოსაშვილი, იგივე ალ-ბარა შიშანი, გადასცა

„ჩემი შვილი ტერორისტი არ არის“

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, უკრაინიდან, ტერორიზმის ბრალდებით, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი, საქართველოს მოქალაქე ცეზარ ტოხოსაშვილის (იგივე ალ-ბარა შიშანი) ექსტრადირება განხორციელდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა, ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობის ბრალდებით, ცეზარ ტოხოსაშვილი (იგივე ალ-ბარა შიშანი) უკრაინაში, ქალაქ კიევში 2019 წლის 12 ნოემბერს დააკავა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით მიმდინარეობდა, რაც ტერორისტული ორგანიზაციის წევრობას და მონაწილეობას გულისხმობს. სასჯელის სახით კი 15 წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოძიებით დგინდება, რომ ცეზარ ტოხოსაშვილი საქართველოდან სირიის არაბთა რესპუბლიკაში გაემგზავრა და 2015 წლიდან ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“-ს რიგებში გაწევრიანდა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა ტერორისტულ საქმიანობაში. მას ახლო ურთიერთობა აკავშირებდა ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერებთან: თარხან ბათირაშვილთან, ისლამ ატაბიევთან და ახმედ ჩატაევთან. მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ცეზარ ტოხოსაშვილი დაუსწრებლად იქნა მიცემული პასუხისგებაში და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ცეზარ ტოხოსაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაგზავნილია თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ცეზარ ტოხოსაშვილის ოჯახი სოფელ ჯოყოლაში ცხოვრობს. „კურიერის“ გადამღები ჯგუფი დაკავებულის დედას და მეუღლეს ესაუბრა.

ოჯახში აცხადებენ, რომ რამდენიმე წლის წინ ცეზარ ტოხოსაშვილმა ქვეყანა უმუშევრობის გამო დატოვა და თურქეთში სამუშაოდ წავიდა, თუმცა მათ ამ დრომდე არ იციან, მოგვიანებით როგორ აღმოჩნდა უკრაინაში და რატომ დააკავეს ტოხოსაშვილი უკრაინელმა სამართალდამცველებმა.

ცეზარ ტოხოსაშვილის დედა აცხადებს, რომ არაფერი იცოდა, მისი შვილი ტერორისტი არ არის და ამის შესახებ მთელმა ხეობამ იცის.

– ჩემი შვილი რომ ტერორისტი არ არის, ეს იცის მთელმა ხეობამ. თურქეთში იყო სამუშაოდ, ჩაიზე. მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ ძებნილი იყო ჩემი შვილი. რატომ არ ერჩოდნენ, როდესაც აფხაზეთსა და ოსეთში იბრძოდა?! – განაცხადა ტოხოსაშვილის დედამ.

ნეთანიაჰუმ ისრაელის პარლამენტს ახალი კოალიციური მთავრობა წარუდგინა

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ქვეყნის პარლამენტს ახალი კოალიციური მთავრობა წარუდგინა.

ბენიამინ ნეთანიაჰუ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტზე 18 თვის განმავლობაში დარჩება, ვიდრე ხელისუფლებას, მის ამჟამინდელ კოალიციურ პარტნიორს და ყოფილ ოპონენტს, ბენი განცს გადააბარებს.

ბენი განცი ნეთანიაჰუს მთავრობაში თავდაცვის მინისტრის პოსტს დაიკავებს.

– ხალხს უნდოდა ერთიანობა და ეს არის ის, რაც მან მიიღო, – განაცხადა ნეთანიაჰუმ პარლამენტში გამოსვლისას.

თავის მხრივ, განცმა საკანონმდებლო ორგანოში მიმართვისას აღნიშნა, რომ ისრაელის ისტორიაში ყველაზე დიდი პოლიტიკური კრიზისი დამთავრდა.

მოსალოდნელია, რომ პარლამენტი ახალ ადმინისტრაციას მალევე დაამტკიცებს. ახალ მინისტრთა კაბინეტში 36 პოსტი იქნება.

ახალი მთავრობის ფორმირებას ისრაელში წინ უძღოდა პოლიტიკური კრიზისი. ისრაელში ბოლო საპარლამენტო არჩევნები 2 მარტს გაიმართა. ეს ქვეყანაში ერთ წელიწადში მესამე ვადამდელი არჩევნები იყო.

საბოლოოდ, ნეთანიაჰუს პარტიამ „ლიკუდი“ და ბენი განცის პარტიამ „ლურჯი და თეთრი“ სამთავრობო კოალიციის შექმნის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს.

ტრამპი: „ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით ვაქცინით ან ვაქცინის გარეშე“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ ქვეყნის გახსნა ვაქცინის შექმნაზე დამოკიდებული არ არის და ვაქცინით თუ მის გარეშე, ამერიკელები ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებიან.

– არ მსურს, ხალხმა იფიქროს, რომ ყველაფერი ვაქცინაზეა დამოკიდებული. ვაქცინით თუ ვაქცინის გარეშე ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით, – განაცხადა დონალ ტრამპმა ბრიფინგზე, სადაც მან კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის დაჩქარებული შემუშავების პროგრამა წარადგინა.

პრეზიდენტმა აღიშნული პროექტი მეორე მსოფლიო ომის დროს პირველი ატომური იარაღის შექმნის მცდელობას შეადარა და იმედი გამოთქვა, რომ ვაქცინის შექმნა წლის ბოლომდე იქნება შესაძლებელი.

ამასობაში აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ 3-ტრილიონიანი პაკეტი დაამტკიცა, რომელიც კორონავირუსით გამოწვეული შედეგების აღმოფხვრისა და შემსუბუქებისკენ იქნება მიმართული.

მხარი 208 კანონმდებელმა 108-ს წინააღმდეგ მისცა. აღსანიშნავია, რომ თუ პაკეტი დამტკიცდა, ეს აშშ-ის ისტორიაში ყველაზე დიდი ფინანსური დახმარება იქნება.

პაკეტს მხარს არ უჭერს რესპუბლიკელების დიდი ნაწილი, თუმცა პალატის სპიკერი, დემოკრატი ნენსი პელოსი აცხადებს, რომ ეს მათი შეთავაზებაა, რომელიც წარადგინეს.

– ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, – ღნიშნა პელოსიმ.

ფინანსური პაკეტი მოიცავს ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის დაფინანსებას, კორონავირუსის ტესტირებისთვის თანხების გაზრდას და ამერიკელებისთვის დახმარების გაცემის მორიგ ეტაპს.

იტალიაში 3 ივნისიდან საერთაშორისო მოგზაურობა დასაშვები ხდება

იტალიაში 3 ივნისიდან საერთაშორისო მოგზაურობა დასაშვები ხდება. ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ორშაბათიდან მოსახლეობას საკუთარ რეგიონებში მოგზაურობის უფლება ექნება, ხოლო 3 ივნისიდან რეგიონიდან – რეგიონში და საზღვარგარეთ. ამასთან, გარკვეული რეგიონების ადმინისტრაციას უფლება ექნება, შეზღუდვები კვლავ გაამკაცრონ, თუ კორონავირუსის შემთხვევები გაიზრდება.

ჯერჯერობით უცნობია, საერთაშორისო მოგზაურობა ქვეყანაში ევროკავშირის მოქალაქეებისთვის იქნება დასაშვები თუ არაწევრი ქვეყნებისთვისაც, თუმცა, იტალიური მედია ვარაუდს გამოთქვამს, რომ გადაწყვეტილება ევროკავშირის და შენგენის ზონის მოქალაქეებს შეეხება.

სანჩესი: „ესპანეთში საგანგებო მდგომარეობა 1 თვით უნდა გავაგრძელოთ“

ესპანეთის ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებას კიდევ ერთი თვით, ივნისის ბოლომდე, გეგმავს.

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა განაცხადა.

– ეს ერთადერთი შესაძლო ნაბიჯია, – აღნიშნა სანჩესმა პრესკონფერენციაზე და დასძინა, რომ ის პარლამენტს საგანგებო მდგომარეობის დაახლოებით ერთი თვით გახანგრძლივების მოთხოვნით მიმართავს.

პრემიერ-მინისტრის განცხადებას ესპანეთის მოსახლეობის ნაწილმა საპროტესტო აქციებით უპასუხა. ასობით ადამიანი ქუჩებში ქვაბებითა და ტაფებით ხელში გამოვიდა, მთავრობის ანტიკრიზისული მოქმედებები და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება გააპროტესტა და ხელისუფლების გადადგომა მოითხოვა.

ესპანეთში საგანგებო მდგომარეობა 14 მარტს გამოცხადდა. 17 მაისის მონაცემებით, ქვეყანაში კოვიდ 19-ით 27.563 ადამიანია გარდაცვლილი, ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების რაოდენობა კი 276.505-ს აღწევს. განკურნებულია 192.253 ადამიანი. ეს ინფიცირებულთა საერთო რაოდენობის 69,5%-ია.

გარდაცვლილია ინფიცირებულთა 9,9%.

ჩინეთის ელჩი ისრაელში გარდაცვლილი იპოვეს

ჩინეთის ელჩი დუ ვეი ისრაელში, თელ-ავივში, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს, ინფორმაციას ისრაელის პოლიციის პრესსპიკერი ადასტურებს. თუმცა, პოლიციას ელჩის გარდაცვალების გამომწვევ მიზეზზე არ უსაუბრია.

დუ ვეი 57 წლის იყო. ის ისრაელში მისიის შესრულებას მიმდინარე წლის თებერვლიდან შეუდგა.

წინასწარი ნიშნებით, ელჩის გარდაცვალება ძილში, ბუნებრივად მოხდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

ვახტანგ მაჭავარიანი ყველაზე მტკივნეულ თემაზე ალაპარაკდა

დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი მისთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე ალაპარაკდა. მასტერო ევგენი მიქელაძის სახელობის ორკესტრის ქუჩაში დატოვების თემას შეეხო, რომელიც 22 წელია გრძელდება:

– წავიკითხე, თურმე იმ მძიმე წლებში, ჯანსუღ კახიძე პალტოში ჩაცმული დირიჟორობდა რეპეტიციებს; საწყალი. ამავდროულად იგი ძირავდა და ანადგურებდა იმ სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა ათწლეულების მანძილზე, რადგან მათ უარი უთხრეს მას შემდგომ თანამშრომლობაზე, რაც ნორმალურია, რადგან უდიდესი მაესტროები რჩებიან ორკესტრებში 5 ან მაქსიმუმ 10 წელი. იგი ასევე ძირავდა კომპოზიტორთა მთელ პლიადას! მიქელაძის სახელობის ორკესტრზე ვენდეტა განახორციელა ჯანსუღ კახიძემ ედუარდ შევარდნაძის და, რაც მთავარია, კორუფციაში ჩართული მაშინდელი და დღევანდელი „ინტელიგენციის“ მეშვეობით. ის რაც ხდება დღეს, ანუ კოვიდ 19-ს შედეგები, არის მსოფლიო უსამართლობის შედეგი, სადაც ერთი დიდი ქვა დადო კახიძემ, შევარდნაძემ, მათმა ერთგულმა მაფიოზურმა ჯგუფმა, ამ ჯგუფის მონა-მორჩილმა „ინტელიგენციამ“ და მათმა შემხედვარე ბრიყვმა საზოგადოებამ.

ამის გამო დღემდე უსახლკაროა საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი. ბრიყვი მთავრობები კი უსმენენ კორუმპირებულ მავანებს და ჰგონიათ, რომ ისმენენ ერის ძახილს. გამაღიზიანა ზემოთ მოყვანილმა პალტოს გროტესკულმა თემამ, რამაც გამოიწვია ეს გამოძახილი.

...ერთი სიტყვით, არ შევხებივარ მის პროფესიონალურ და უდავოდ უდიდეს როლს. მე აქ ვისაუბრე იმ უკუღმართ ფაქტზე, რომ 1998 წლის ივლისიდან, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი დატოვეს უსახლკაროდ და ბედის ამარა, რაც დღემდე გრძელდება, ანუ უკვე 22 წელი. ისიც სიმართლეა, რომ მავანთა ნაწილმა ამ ცუდ საქმეს პრესაშიც კი დაუჭირა მხარი. სიმართლე მჭრელია, ამიტომ არ სიამოვნებს ზოგიერთებს. ისევ ვამბობ, არ ვსაუბრობ მისი მაღალი პროფესიული დონის თემაზე, აქ საუბარია სრულიად სხვა ჭრილში და ნუ ეძებთ იმას, რაც არ მითქვამს.

...თქვენ წერთ მაესტროს განდიდებას, არ გყოფნით ..... რომ დაგმოთ ის ფაქტი, რომ სრულიად უსინდისოდ გაძევებულ იქნა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ქუჩაში, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს თქვენს მიკერძოვებულ და „კრუგავაია პარუკა“ ბუნებაზე. ვთქვი და დავამთავრე, 100% ვდგევარ იქ, სადაც ვდგევარ...

ამის ცოცხალი და გარდაცვლილი მოწმეები არსებობენ. ცოცხლები: მაშინდელი კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, მისი პირველი მოადგილე კობახიძე და კულტურის სამინისტროს თანამშრომელი ლიკა კოპალეიშვილი, ასევე გარდაცვლილები: გიგა ლორთქიფანიძე, სოსო კეჭაყმაძე, ბუთხუზ ბასილაია და კიდევ ერთი-ორი, როდესაც იქ იყო შეხვედრა თემაზე: ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დაშლაზე, ანუ ელიმინაციაზე, სადაც მე სრული უთანხმოება მქონდა მათთან და არ დავეთანხმე, მაშინ მესროლა დიდი საფერფლე ჯანსუღ კახიძემ პირდაპირ სახეში. ეს მფრინავი ობიექტი დავიჭირე ჰაერში და ნახევარი წამის შემდეგ ვესროლე იგი უკან პირდაპირ კახიძეს. მან აიცდინა საფერფლე, ადგა და გავიდა მინისტრის ოთახიდან. იმ დღეს გადარჩა ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

თვითიზოლაციაში თეთრკანიანი გოგონა შავკანიანად გადაიქცა

ბრიტანელი გოგონა კორონავირუსის პანდემიის გამო თვითიზოლაციაში ყოფნის დროს გასარუჯი საცხის არასწორად მოხმარების შედეგად გაშავდა და სოციალურ ქსელებში საკმაოდ პოპულარული გახდა.

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ნიუკასლის მკვიდრმა კელსი ჩამბერსმა ხელოვნური გარუჯვის მისაღები 13 ფუნტი სტერლინგის ღირებულების St Moriz Darker Than Dark-ის პოპულარული საშუალებით ისარგებლა. 19 წლის გოგონას თქმით, მას ასეთი საშუალებით სურდა თვითიზოლაციაში ყოფნის პირობებში საკუთარი განწყობის ამაღლება. თუმცა შედეგის ხილვის შემდეგ, ის შეაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ერთ საათში მისმა ბუნებრივად თეთრმა კანმა მუქი ყავისფერი შეფერილობა შეიძინა.

ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ჩამბერსმა განათავსა საკუთარი სელფი, რომელზეც საკუთარი წარუმატებელი ექსპერიმენტის შედეგია ასახული. მცირე დროში მისმა ფოტოსურათმა ოთხი ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

გოგონა ამ ყოველივეს იუმორით მიუდგა და საკუთარი ბუნებრივი ფერის დაბრუნებას სპეციალური მათეთრებელი საშუალებებით შეეცადა.

– თავიდან შევშფოთდი, თუმცა მერე ბევრი ვიცინე, როდესაც ჩემი კანის ფერი ვნახე, რომელიც თითქმის გაშავებული იყო. ბევრი შრომა დამჭირდა იმისთვის, რათა ჩემი კანის ფერი ბუნებრივ შეფერილობასთან მიმეახლოებინა, – განაცხადა გოგონამ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კალეიდოსკოპი

კენდალ ჯენერმა თავისი მორიგი ეროტიკული ფოტო გამოაქვეყნა

ამერიკელმა სუპერმოდელმა და მეწარმემ კენდალ ჯენერმა, რომელსაც ტელეწამყვანმა პირს მორგანმა კარდაშიანების ოჯახში ერთადერთი ლამაზმანი უწოდა, ინსტაგრამში მორიგი საკუთარი ეროტიკული ფოტოსურათი გამოაქვეყნა.

გამოქვეყნებულ ფოტოზე 24 წლის სუპერმოდელი, შავ მაქმანებიან ბოდიში გამოწყობილი, საწოლზე წამოწოლილია აღბეჭდილი.

– მაკიაჟი გავიკეთე და თავი მოვიწესრიგე, – დაწერა კომენტარში ჯენერმა. მისმა ფოტომ ექვს მილიონზე მეტი მოწონება და თითქმის 27 ათასი კომენტარი მიიღო.

მოდელის გვერდის ხელმომწერები აღაფრთოვანა მისმა გარეგნობამ და კომენტარებიც არ დაიშურეს.

– მე ის მომწონს, თუ როგორ ბუნებრივად გამოიყურები შენს დებთან შედარებით, – დაწერა ერთ-ერთმა ხელმომწერმა.

– რა სილამაზეა, – აღნიშნა მეორე თაყვანისმცემელმა.

– ბრწყინვალედ გამოიყურები, – აღფრთოვანება ვერ დამალა მესამემ.

ქალიშვილის საჩუქარმა ქალი გაამდიდრა



ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ სიდნეის მკვიდრმა ქალბატონმა ქალიშვილის მიერ ნაჩუქარი ბილეთის წყალობით ლატარიაში 32 ათას ავსტრალიურ დოლარზე მეტი მოიგო.

ქალის თქმით, ქალიშვილმა მას დედის დღეს მომენტალური ლატარიის ბილეთი აჩუქა.

– უბრალოდ, მაგიდასთან ვიჯექი და ჩაის ვსვამდი. სანამ ჩემი ქალიშვილი კექსს მიმზადებდა, გადავწყვიტე, მის მიერ ნაჩუქარ ბილეთზე დამცავი შრე გადამეფხიკა, – იხსენებს ავსტრალიელი ქალბატონი.

– მე მას დავუძახე: „მგონი, მოვიგე!“ ჩვენ რამდენიმეჯერ გადავამოწმეთ ციფრები იმაში დასარწმუნებლად, რომ მართლაც ასე იყო, – ამბობს იღბლიანი ქალბატონი.

ქალი მოგებული თანხით სახლის შეკეთებას გეგმავს.

წინასწარმეტყველებიანმა ორცხობილამ მამაკაცს სიმდიდრე მოუტანა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლოტის მკვიდრი ხუთი წლის განმავლობაში ლატარიის ბილეთებს ერთი და იმავე რიცხვებით ავსებდა, რომელიც ჩინურ წინასწარმეტყველებიან ორცხობილაში ამოუვიდა და ჯეკპოტი მოხსნა.

კლოდ გეზოჯმა ლატარიის ბილეთი ავტოგასამართი სადგურის მაღაზიაში შეიძინა და მასში ჩაწერა ის რიცხვები, რომლებიც ხუთი წლის წინ წინასწარმეტყველებიან ორცხობილაში ნახა და რომლებსაც მას შემდეგ ლატარიის ყოველი თამაშის დროს იყენებდა. ბილეთის დარჩენილი ველი მან შემთხვევითი რიცხვებით შეავსო, რომლებიც თავად მოსწონდა.

შედეგად გეზოჯის არჩევანი გათამაშების დროს ამოსულ ხუთივე ნომერს დაემთხვა და მისმა მოგებამ ორი მილიონი დოლარი შეადგინა.

ამერიკელი მოგებული ფულით ავტომობილის ვალის გასტუმრებას, სახლის ყიდვასა და ოჯახის დახმარებას გეგმავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

იტალიამ წაგება ქალაქს დააბრალა

4-გზის მსოფლიო ჩემპიონ იტალიას, ახლა 5 ტიტული უნდა ჰქონდეს. „სკუადრა აძურამ“ ყველაზე კარგი შანსი იქ გაანიავა, სადაც ყველაზე მეტად შეეძლო მუნდიალის მოგება – 1990 წელს საკუთარ ქვეყანაში.

რა მოხდა 1990 წელს? რამ შეუშალა ხელი იტალიას? ეს კითხვები გამუდმებით ისმოდა და ყველამ ქალაქს დააბრალა.

ნახევარფინალია, ნეაპოლის „სან პაოლოს“ სტადიონი გადაჭედილია. იტალია მასპინძელია და უდავო ფავორიტი არგენტინასთან. იგებდა კიდეც ტოტო სკილაჩის გოლით, სათამაშო უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ კლაუდიო კანიჯას თავურით 1:1 გახდა, იტალიელთა გოლგაუშვებელი სერია აქ მთავრდება და „სკუადრა აძურა“ პენალტებში აგებს. დრამა, ბევრი უცნაური დამთხვევა, კურიოზი და ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა...

აწ გარდაცვლილი აძელიო ვიჩინის გუნდმა მანამდე ყველა მატჩი რომში ჩაატარა და ნახევარფინალი მოუწია ნეაპოლში. იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად უყვართ იტალიის მთავრობა და სადაც ფიქრობენ, რომ ჩრდილოეთ იტალიასთან შედარებით მათი უფლებები დაცული არაა.

ყველამ იცის, ნაპოლიში თამაშობდა ლეგენდარული დიეგო მარადონა და გასაკვირი არაა, რომ სტადიონზე ბევრნი არგენტინას ქომაგობდნენ.

მარადონამ თამაშის წინა დღეს ცეცხლზე ნავთი განცხადებით დაასხა:

– ნეაპოლელებო, 364 დღის განმავლობაში იტალიელები ისე გექცევიან, როგორც განავალს. ხვალ ყველას გაახსენდება, რომ თქვენც იტალიელები ხართ და თანადგომას გთხოვენ. არც გაიფიქროთ. მათ ერთი დღისთვის სჭირდებით, მე კი 365 დღე თქვენთან ვარ!

საპასუხოდ ნაპოლის ტიფოზების დიდმა ჯგუფმა ტრანსპარანტი გამოფინა – დიეგო, გვიყვარხარ, მაგრამ იტალია ჩვენი სამშობლოა.

თუმცა, ბევრზე მომაჯადოებლად იმოქმედა დიეგოს სიტყვებმა. როგორც თვითმხილველები წერდნენ, ტრიბუნებზე დაახლოებით 50/50-ზე იყო გულშემატკივრობა.

ნეაპოლში თამაში ცუდი გათვლა იყო იტალიელთა მხრიდან და საოცარია, რატომ შეცდნენ: თავიდანვე უნდა გაეთვალათ, რომ იტალია ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდოდა და ნახევარფინალამდეც მიაღწევდა. და რატომ უნდა ეთამაშა ნეაპოლში? სწორედ ეს განაცხადა აძელიო ვიჩინიმ მოგვიანებით. ამ ნახევარფინალის მერე არის კადრი, იტალიელთა საყრდენი ლუიჯი დე აგოსტინი ვიჩინისთან მიდის და ხელებს იშვერს, თან რაღაცას ყვირის.

– ეს სირცხვილია... ვითამაშეთ სტადიონზე, სადაც ხალხი არ გვიჭერდა მხარს! სიტყვები არ მყოფნის.

პაოლო მალდინიმ განაცხადა, ეს თამაში ნეაპოლში რომ არ ყოფილიყო, აუცილებლად მოვიგებდითო.

ტოტო სკილაჩი კი იხსენებს:

– არგენტინაზე ძლიერები ვიყავით. მთელი მატჩის განმავლობაში იგრძნობოდა ჩვენი უპირატესობა, მაგრამ ვერ ვიყენებდით. რაღაც გვაკლდა. მათ დრო გაჰყავდათ, ზოგჯერ პროვოკაციებს მიმართავდნენ და კიდევ, ტრიბუნებზეც უჩველო სიტუაცია იყო. რომის სტადიონისგან განსხვავებული.

აი, რას ჰყვება ფაბიო კანავარო. ნეაპოლში დაბადებულ-გაზრდილი, რომელიც იმ დროს 17 წლის იყო.

– ჩემ გარშემო ბევრი იყო არგენტინისკენ. მე იტალიას ვქომაგობდი, რადგან იტალიელი ვარ. თუმცა ვაღიარებ დიეგოს ჭკუასა და პატრიოტიზმს. და თუ დავუშვებდი იტალიის ნაკრების წაგებას ვინმესთან, მხოლოდ და მხოლოდ მარადონას გუნდთან.

მოკლედ, იტალიელთა მარცხი ნეაპოლს დაბრალდა...

ბურჯანაძემ ვარჯიში დაიწყო



ესპანური გრან კანარიას ქართველმა კალათბურთელმა ბექა ბურჯანაძემ და მისმა თანაგუნდელებმა ვარჯიში განაახლეს. კორონავირუსით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ, სპორტსმენები ეცდებიან, მალე დაიბრუნონ სასურველი ფორმა, რათა ლიგა ენდესას შესაძლო განახლებას მზადყოფნაში შეხვდნენ. როგორ მიმდინარეობს წვრთნა და რა ისმის სეზონის გაგრძელების თაობაზე, ამის შესახებ ბურჯანაძე საუბრობს:

– ვარჯიშები დავიწყეთ, მაგრამ ცხადია, მკაცრი რეგულაციების დაცვით. ჯგუფ-ჯგუფად ვართ დაყოფილები და ინდივიდუალურად ვვარჯიშობთ. არის რამდენიმე ლოკაცია, სადაც პერიოდულად თითოეულ ჯგუფს უწევს ვარჯიში. მაგალითად, მე და ჩემი 2 თანაგუნდელი ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად დილის 9 საათზე ფეხბურთის მოედნიდან ვიწყებთ. ჩვენი დარბაზის გვერდით არის ლას პალმასის საფეხბურთო კლუბის ბაზა და გარეთ სავარჯიშოდ მის მოედანს ვიყენებთ. თავდაპირველად, აერობიკითა და კარდიო-ვარჯიშებითა ვართ დაკავებულნი, რაც შეიცავს სირბილს, კუნთების გახურებასა და დაცვითი სლაიდების გაკეთებას. შემდეგ ვინაცვლებთ ტრენაჟორებზე და დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ვვარჯიშობთ. უკვე ბოლოს გადავდივართ 15-წუთიან ფრისტაილზე დარბაზში და ძირითადად, ბურთს კალათში ვესვრით. თითოეულს გვყავს ინდივიდუალური მწვრთნელი, რომლებიც ბურთს ხსნიან და გვაწვდიან.

ვარჯიში კი განვაახლეთ, მაგრამ ჯერაც უცნობია, გაგრძელდება თუ არა სეზონი. საბოლოო გადაწყვეტილება გამოტანილი არაა. როგორც ცნობილია, 30 მაისამდე უნდა გადაწყვიტოს ლიგის ხელმძღვანელობამ, გახახლდება თუ არა მარტის თვეში შეწყვეტილი ჩემპიონატი. გაგრძელების შემთხვევაში, ფორმატი უკვე შემუშავებულია. ესპანეთის ჩემპიონატის მიმდინარე ცხრილით 12 საუკეთესო გუნდი (ბარსელონა, რეალი, სარაგოსა, ტენერიფე, ბილბაო, ანდორა, ვალენსია, ბასკონია, უნიკახა, ბურგოსი, გრან კანარია და ხუვენტუტი) კანარის რომელიმე კუნძულზე – ან ჩვენთან, ან ტენერიფეზე შეიკრიბება და შემდეგი სისტემით ითამაშებს: მონაწილეები ორ ჯგუფში განაწილდებიან 6-6 გუნდად, ჯგუფში ყველა ყველას ერთ წრედ შეხვდება და თითოდან საუკეთესო 2 გუნდი ნახევარფინალში გავა. ნახევარფინალები ერთმატჩიანი იქნება, ხოლო ფინალური სერია 2 ან 3 მოგებამდე გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ 26 წლის ბურჯანაძე გრან კანარიაში 2019 წელს გადაბარგდა, მიმდინარე სეზონში ჩატარებულ 23 მატჩში კი, მისი საშუალო მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 7.7 ქულა, 3.3 მოხსნა, 0.6 პასი.

ფეხბურთი

16 მაისი

ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა

დორტმუნდი-შალკე	4:0
ლაიპციგი-ფრაიბურგი	1:1
ჰოფენჰაიმი-ჰერტა	0:3
ფორტუნა-პადერბორნი	0:0
აუგსბურგი-ვოლფსბურგი	1:2
აინტრახტი-გლადბახი	1:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	25	17	4	4	73-26	55
2.დორტმუნდი	26	16	6	4	72-33	54
3.გლადბახი	26	16	4	6	52-31	52
4.ლაიპციგი	26	14	9	3	63-27	51
5.ლევერკუზენი	25	14	5	6	45-30	47
6.ვოლფსბურგი	26	10	9	7	36-31	39
7.ფრაიბურგი	26	10	7	9	35-36	37
8.შალკე	26	9	10	7	33-40	37
9.ჰოფენჰაიმი	26	10	5	11	35-46	35
10.კიოლნი	25	10	2	13	39-45	32
11.ჰერტა	26	8	7	11	35-48	31
12.უნიონი	25	9	3	13	32-41	30
13.აინტრახტი	25	8	4	13	39-44	28
14.აუგსბურგი	26	7	6	13	37-54	27
15.მაინცი	25	8	2	15	34-53	26
16.ფორტუნა	26	5	8	13	27-50	23
17.ვერდერი	24	4	6	14	27-55	18
18.პადერბორნი	26	4	5	17	30-54	17

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

საცვლებში გადაღებულ ფოტოზე არიანა გრანდემ სვირინგები გამოაჩინა

ამერიკელმა მსახიობმა და მომღერალმა არიანა გრანდემ სახლში გადაღებული ფოტოსურათი, რომელშიც საკუთარი სვირინგების დემონსტრირებას ახდენს, ინსტაგრამში გამოაქვეყნა.

ორი კადრისგან შემდგარი ფოტოსურათების სერიაში 26 წლის მსახიობი ნაცრისფერ ბიუსტჰალტერსა და ცისფერ ჯინსებში გამოწყობილია აღბეჭდილი. ის, გვერდულად წამოწოლილი, სმარტფონის კამერით იღებს ფოტოს და თავის ხელმომწერებს უჩვენებს მუცელსა და ხელებზე გამოსახულ ცხოველებისა და მცენარეების ნახატებს.

თაყვანისმცემლებმა გრანდეს სვირინგები შეაფასეს და საკუთარ კომენტარებში ქების სიტყვები არ დაიშურეს.

– ჩვენ სიამოვნებას ვიღებთ შენი ცქერით, სვირინგებიანო დედოფალო, – აღნიშნა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა.

– ვეთაყვანები შენს ახალ სვირინგს, – დაწერა კომენტარში მეორემ.

– უფრო მეტი სვირინგი დაგვანახე შენს სხეულზე ამ კარანტინის პირობებში. ისინი უმშვენიერესია, – აღფრთოვანება ვერ დამალა მესამემ.

– შენს პირველ ფოტოსურათს საკუთარ ფეხზე ამოვასვირინგებინებ, – დაჰპირდა კიდევ ერთი თაყვანისმცემელი.

არიანა გრანდეს ფოტოსურათების სერიამ ხუთ მილიონზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

ორმეტრიანი პითონი მამლის გადაყლაპვას ფერმერის თვალწინ ცდილობდა

ტაილანდის პროვინცია ნაკხონრატჩასიმაში ორმეტრიანი პითონი შეეცადა, მამალი გადაეყლაპა. თვითმხილველის მიერ გადაღებული ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტომ გამოაქვეყნა.

– საქათმეში წავედი მამლებისთვის საკენკის დასაყრელად და ვნახე, რომ ისინი ძალიან ხმაურობდნენ, – ყვება მამლების ფერმის პატრონი, – შემდეგ შევნიშნე, რომ ერთი მამალი არ ჩანდა და ცუდის მოლოდინში შევშინდი.

მან მამლის გაუჩინარების მიზეზის გამორკვევა დაიწყო და საქათმის მახლობლად ვეფხვისებური პითონი აღმოაჩინა, რომლის ყბებიდან მამლის ფეხები იყო გამოჩრილი.

ფერმერმა დაუყოვნებლივ გამოიძახა გვეღებზე მონადირეები. როდესაც ისინი ადგილზე მივიდნენ, პითონს შინაური ფრინველი მხოლოდ სანახევროდ ჰყავდა გადაყლაპული და ხალხის თვალწინ ნადავლთან გამკლავებას აგრძელებდა. სპეციალისტებმა ქვეწარმავლისთვის შეუჭმელი ნადავლის ფრთხილად წართმევა მოახერხეს, შემდეგ კი მოშორებით გადაიყვანეს და გაუშვეს.

მთვრალმა მამაკაცმა გველი კბილებით დაგლიჯა

ინდოეთის კარნატაკის შტატის სოფელ მუსტურის მთვრალმა მცხოვრებმა კბილებით დაგლიჯა შხამიანი გველი, რომელიც მისი მოტოციკლის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა.

38 წლის მამაკაცი, გვარად კუმარი, მოტოციკლით ბრუნდებოდა მაღაზიიდან, სადაც ალკოჰოლური სასმელის საყიდლად იმყოფებოდა. მოულოდნელად მისი მოტოციკლის ბორბლებქვეშ გველგვესლა აღმოჩნდა.

გამვლელების თვალწინ მამაკაცმა გველს ხელი სტაცა, გარკვეული დრო ატარა, შემდეგ მოტოციკლი შუა გზაზე გააჩერა და ქვეწარმავალი კბილებით დაგლიჯა. შემთხვევის ადგილზე ნახევარი საათის შემდეგ პოლიციელები მივიდნენ. იმ დროისთვის გველი უკვე მკვდარი იყო.

კუმარმა არ იცოდა, რომ გველი შხამიანი იყო და მომხდარის შემდეგ ექიმისთვის არ მიუმართავს. მან განმარტა, რომ ამ სახეობის გველს ის ადრეც შეუწუხებია და საბოლოოდ გაცოფდა, როდესაც გველი მისი მოტოციკლის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ახლო მეგობრის

ემილი ლაგვილავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

გურამ კვიკვინია და ბადრი ლომაია

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 2. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 3. წყალმცენარეების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 4. ყველაზე მაღალი მწვერვალი პირინეის ნახევარკუნძულზე; 5. ცხელი ქარი; 8. ნიადაგის დასამუშავებელი მანქანა; 9. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანი; 12. ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორწინების შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 14. ოპერა „სევილიელი დალაქის“ კომპოზიტორი; 16. ფულის ერთეული ჩინეთში.

თარაზულად: 1. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 6. ტროპიკებში გავრცელებული წყლის დიდი ფრინველი; 7. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო გემი; 9. ინდოელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. კულინარიასა და მედიცინაში გამოყენებული, ორნახშირმჟავა ნატრიუმის ნაერთის საყოფაცხოვრებო სახელწოდება; 11. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 13. შვეიცარიის დედაქალაქი; 15. ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთის ვარსკვლავი; 17. ქიმიური ინდიკატორი; 18. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 19. წინასწარ აღებული, მისაღები თანხის ნაწილი; 20. ერთწლიანი მარცვლეული მცენარე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქედანი; 2. ფოთი; 3. ლაფონტენი; 4. ლარგო; 5. ნეოლითი; 8. ლენონი; 9. „მაკნატუნა“; 12. ლეკები; 14. ოქსინო; 16. აიეტი.

თარაზულად: 1. ქლოროფილი; 6. გაბრიაძე; 7. დვალეთი; 9. მადონა; 10. ბონი; 11. მოზაიკა; 13. ფხოვი; 15. ტეკილა; 17. ბიზნესი; 18. „ხეტაფე“; 19. დისნეი; 20. „მიტარბი“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯოკერი; 2. წოტი; 3. ინდონეზია; 4. ლოლუა; 5. ვერსაჩე; 8. ტიგელი; 9. კალანდაძე; 12. „ბაზელი“; 14. ნამაზი; 16. ამადუ.

თარაზულად: 1. ჯვრისწერა; 6. „ანტიგონე“; 7. კანტატა; 9. კესონი; 10. ბანა; 11. ვექსილი; 13. კანოე; 15. ვალიზა; 17. ვანდომი; 18. დევიზა; 19. გრიზლი; 20. ლუტეცია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 მაისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2005

ევრო — 3.4594

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9040

100 რუსული რუბლი — 4.3481

ამინდის პროგნოზი 18 მაისისთვის

ჰარი კეინი: „ინგლისში სეზონის განახლება ჯერ ადრეა“

ტოტენჰემის ფორვარდმა ჰარი კეინმა განაცხადა, რომ ინგლისი ჯერ არ არის მზად იმისთვის, რომ სეზონი განახლდეს, რადგან კორონავირუსით გარდაცვლილების რიცხვი ყოველდღე იმატებს.

კეინის აზრით, სანამ ამ მხრივ მდგომარეობა არ დასტაბილურდება, სეზონის განახლება მიზანშეწონილი არ არის:

– მიხარია, რომ გერმანიამ დაიწყო თამაში, მაგრამ ინგლისში ამის გაკეთება ჯერ არ შეიძლება. მინდა, რომ მოედანზე დავბრუნდე, მაგრამ ამავე დროს რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ადამიანების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვანია.

18 მაისს იტალიაში გუნდები ვარჯიშს განაახლებენ

18 მაისს იტალიაში ყველა საფეხბურთო გუნდი ვარჯიშს განაახლებს და მათ თითქმის შეზღუდვები აღარ ექნებათ. თუმცა მთავრობამ მაინც მოუწოდა ფეხბურთელებს, რომ სიფრთხილე გამოიჩინონ.

ჯერჯერობით უცნობიამ, თუ როდის განახლდება იტალიის ჩემპიონატი, სავარაუდოდ, ეს შეიძლება ივნისის შუა რიცხვებში მოხდეს.

გუნდები მზად არიან, რომ თამაში განაახლონ.

მბაპე, შესაძლოა, პსჟ-ში დარჩეს

საფრანგეთში სეზონი დასრულდა, ამიტომ პსჟ აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ თავის ვარსკვლავებთან ახალი კონტრაქტები გააფორმოს.

განსაკუთრებით ეს ნეიმარს და კილიან მბაპეს ეხება. მბაპეზე ხშირად ვრცელდება ჭორები, რომ ის მადრიდის რეალში აპირებს გადასვლას და პსჟ-ში დარჩენა არ უნდა, თუმცა ამჯერად საპირისპირო ცნობა გავრცელდა. მბაპე თანახმაა, პსჟ-სთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს, რომლის მიხედვითაც, მისი ანაზღაურება თითქმის ისეთივე იქნება, როგორიც ნეიმარის.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

●●●

პაციენტი ექიმს ეუბნება:

– ექიმო, თავს ცუდად ვგრძნობ.

– სვამთ?

– არა.

– აბა, რაღას ითხოვ?

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, იპოდრომზე მივდივარ!

– ტყუილად მიდიხარ, დღეს დოღი არ იქნება.

– რატომ?

– შენ ფაშატს სიფათი გავუერთიანე...

●●●

კაცი სახლში მეგობართან ერთად დაბრუნდა. კარი შეაღო თუ არა, მეგობარს ეუბნება:

– როგორც ჩანს, ინტერნეტი გამორთულია.

– საიდან მიხვდი?

– სამზარეულოდან კატლეტის სუნი გამოდის!

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, კარტოფელი რითი გინდა?

– ხორცით.

– ასეც ვიცოდი ძვირფასო და ჩიფსები გიყიდე ბეკონის გემოთი.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– გუშინდელის შემდეგ თავს როგორ გრძნობ?

– საშინლად! საკუთარი თავი მეზიზღება!

– მაგაზე არ ინერვიულო, ახლა უკვე ბევრს ეზიზღები...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„მასტერშეფი“ ახალი სეზონით ბრუნდება

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 24 მაისიდან საერთაშორისო კულინარული შოუ „მასტერშეფი“ ახალი სეზონით ბრუნდება.

ერთადერთი საერთაშორისო კულინარიული პროექტი საქართველოში „მასტერშეფი“ ერთგულ მაყურებელს ტელეეკრანებთან ყოველ კვირას შეკრებს.

კონკურსანტებს კვლავ კონსტანტინე თედელური, ლევან კობიაშვილი და ლუკა ნაჭყებია შეაფასებენ.

ნინო წულაიას მამა კორონავირუსმა იმსხვერპლა



ოპერის მომღერლის, „ნიჭიერის“ მონაწილის, ნინო წულაიას მამა კორონავირუსმა იმსხვერპლა.

სამწუხარო ინფორმაცია მომღერალმა თავად გაავრცელა:

– მადლობა ყველას, ჩვენი ოჯახის ტრაგედიის გაზიარებისთვის!

დიახ, მამა ამ საშინელმა ვირუსმა წამართვა. სრულიად ჯანმრთელი მამაჩემი...

გაუფრთხილდით ერთმანეთს. ეს ვირუსი კლავს!

შოთა გლურჯიძე ქართული კულტურისთვის ყურადღებას ითხოვს

მხატვარი შოთა გლურჯიძე ქართული კულტურისთვის ყურადღებას ითხოვს, შექმნილ მდგომარეობას აფასებს და მის მნიშვნელობაზე კიდევ ერთხელ საუბრობს:

– ქართული კულტურა თუ აღარ იარსებებს, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენს ჩახეთქავს და მოკუკავს პირბადეებიანი პოპულაცია და რამდენია მისი ბინადრობის არეალში მშპ, დუინგ ბიზნესი და გამჭირვალობის ინდექსი?

გია როინიშვილი: „კიდევ უფრო დაზიანდება კულტურა“

ასე მიაჩნია მსახიობ გია როინიშვილს, რომელიც ეკონომიკური კრიზისის შედეგებს აფასებს:

– ამ ეკონომიკური კრიზისის დროს ყველაზე მეტად დაზიანდა და კიდევ უფრო დაზიანდება კულტურა და თანამედროვე ხელოვნება!

სამწუხაროდ, ბევრი ხელოვანი დარჩება „კადრს მიღმა“! ეს სფერო საჭიროებს ძირეულ რეფორმას და სრულიად ახლებურ, ინოვაციურ მიდგომებს!

ანა სანაიასთვის გივი ბერიკაშვილი პერსონალური ღმერთია

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ ანა სანაიასთვის გივი ბერიკაშვილი პერსონალური ღმერთია:

– ჩემი პერსონალური ღმერთი! ამას რომ ვწერ, ცრემლები ჩამომდის და ყელთან მეწვეთება. წლებია ვფიქრობ და ვერ მოვიფიქრე ის სამადლობელი სიტყვები, რაც უნდა მეთქვა... გული ყელში მომდის და ცრემლებს ვმალავ. ადრე ვმალავდი სხვებისგან, როცა ადამიანებს ერთმანეთის დანახვა შეგვეძლო.

მე და გივის სულ განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა და სულ გვექნება. თეატრში რომ შევდივარ, მის საგრიმიოროში გაკრულ აბრას მეზუზასავით ვკოცნი. რომ გამოვდივარ, შანსს არ ვტოვებ, არ ჩამოვწიო ურდული. თითქოს იქ ვინმე იყო. თითქოს იქ მისი ნაწილი ცხოვრობს – უხილავი აჩრდილი. როცა ცოცხალი იყო, ხელი მომკიდა და მიმიყვანა თეატრში. არ დამავიწყდება არც ის წამი, არც ის სუნი, არც ის ტანსაცმელი, რაც მეცვა. ისე მიმიყვანა, როგორც ანგელოზს მიჰყავს ბავშვი დედამიწაზე დასაბადებლად და მეც ხელმეორედ, ან შეიძლება ხელპირველად დავიბადე. მე თეატრისთვის დავიბადე. მან კი უბრალოდ თავისი ღიმილით და ტკბილი ხმით მითხრა: „შვილო, არ შეგეშინდეს არაფრის!“

მას მერე ბევრჯერაც მიტირია, ბევრჯერაც მტკენია, ბევრჯერ მარტოც მიგრძვნია თავი, მაგრამ არასოდეს შემშინებია. იმ სიტყვებმა მომცა ძალა, რომელიც მთელი, მთელი ცხოვრება გადამატანინებს ამ დიდ სიყვარულს თეატრისას და მუდამ ავიხედები პრემიერის ბოლოს პროჟექტორებისკენ, სადაც მისი გამჭვირვალე, მსუბუქი სული იქნება და ღიმილიანი დამიკრავს ტაშს.

ერეკლეს მოედანზე არქეოლოგებმა უნიკალური ნივთი აღმოაჩინეს

ერეკლეს მოედანზე წარმოებული გათხრებისას არქეოლოგებმა მეხუთე საუკუნის ფენაში ქვის საბეჭდავი იპოვეს.

ინფორმაცია თომა ჩაგელიშვილმა გაავრცელა:

– ეს ძვირფასი ქვის საბეჭდავი იპოვეს არქეოლოგებმა ერეკლეს მოედანზე გათხრებისას მეხუთე საუკუნის ფენაში.

ბევრი მათგანი თვლის, რომ ამ ნივთზე ვახტანგ გორგასალია გამოსახული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა



მოდელი სველ ტოპში გამოეწყო და თაყვანისმცემლები აღაფრთოვანა

პოპულარული ბრენდის Fashion Nova-ს მოდელმა სველ ტოპში გამოწყობილმა გადაიღო ფოტოსურათი და ამით საკუთარი თაყვანისმცემლები გაახარა. ფოტოსურათების სერია მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

სოციალურ ქსელში განთავსებულ ერთ-ერთ კადრში 25 წლის მატილდა ტანტო აღბეჭდილია სველ თეთრი ფერის ტოპში, რომლის შიგნითაც, იმის გამო, რომ ბიუსჰალტერი არ აცვია, მკერდი მოუჩანს. მეორე ფოტოზე გოგონა ზურგის მხრიდანაა გადაღებული, მას აცვია ყვავილებით მოხატული მოკლე შარვალი, რომელიც მის დუნდულებს ვერ ფარავს.

მოდელის ხელმომწერები აღაფრთოვანა მისმა ფიგურამ და არც კომენტარები დაიშურეს მისი პოსტის მიმართ, რომელმაც 689 ათასი მოწონება მიიღო.

– როგორ მიაღწიე ასეთ ფიგურას? – იკითხა ერთ-ერთმა აღფრთოვანებულმა თაყვანისმცემელმა.

– ძალიან მაგარია! – აღფრთოვანება ვერ დამალა მეორემ.

– დიახ, მე შენ მიყვარხარ! – გამოუტყდა მესამე თაყვანისმცემელი.

– დღეიდან, ეს ჩემი ყველაზე საყვარელი ფოტო იქნება, – აღნიშნა მეოთხემ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

18 მაისისთვის

ვერძი – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. **კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ჯავახეთში სახლის ის ნაწილი, სადაც ჭურჭელი უწყვიათ; 2. კომბინაცია პოკერში; 3. ესპანეთის საკალათბურთო ლიგაში მოთამაშე, საქართველოს ნაკრების კალათბურთელი; 4. რომაელი პოეტი „ღვთაებრივი კომედიას“ ავტორი; 5. ჯაშუშის, მაბეზღარას ძველი სახელწოდება; 8. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ბრიტანელი ავტომრბოლელი; 9. ფრენის სიმაღლის საზომი ხელსაწყო თვითმფრინავში; 12. მოტოციკლეტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. ფრანგი მხატვარი; 16. უბანი თბილისში.

თარაზულად: 1. წითელი ფერის, ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 6. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი მდიდარი ადამიანი; 7. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 9. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 10. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 11. ძველებური, სახელურიანი, დასაკეცი სათვალე; 13. ვარსკვლავთა კრებულის ძველი ქართული სახელწოდება; 15. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 17. აზნაურის ტიტული ძველად საფრანგეთში; 18. გამომშრალი, უკურკო გარგარი; 19. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 20. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა